Отыменные глаголы идут целиком по I-му параллельному спряжению, причастные по III-му, а коренные и с таким наращ. вспом. по II-му спряжению, при этом a) I-е параллельное спряжение целиком — спряжение отыменных глаголов, коренные глаголы по нему не спрягаются вовсе и кроме оформления этими наращенными вспомогательными — -ე в аор. (1 и 2 л.) и -ო в сосл. — глаголы никаких других признаков вторых времен не получают, b) глаголы же с наращением тех же форм вспом. во II и III спряжении проявляют их дополнительно к характеру аориста, во II-м спр. ა, в 3-м ი, и потому -ე, да и -ო называются спутниками.

По II-му спр. с такими спутниками образует аор. и б.=сосл. группа глаголов ლ-го класса, а по III-му спряж. весь ბ класс:

	аор.	б.=с.
I	ვ-ხარჩ-ე	ვ-ხარჩ + ო
	ვ-წერ-ე	ვ-წერ + ო
II	ვ-ცვალ + ე	ვ-ცვალ + ო
III	ვ-კრიბ + ე	ვ-კრიბ + ო

იმ დღეს მე წიგნი ვიკითხე, ჩემმა დამ (|| ჩემ დამა) ანგარიში სწერა, დედამ (|| დედა ჩემმა) პური აცხო და მამის (მამა ჩემის) ყანიდან || ქარხნიდან შინ მოსვლას ელოდინა || უცადა.

ერთმანეთისა народный (с пропуском რ во 2-й части: -ეთისა), из современной живой речи, вид слова вм. общепринятого в культурной речи — ერთმანერთისა 'друг друга' от ერთი один.

Др.-л. 'друг другу', 'взаимно' — უერთიერთას, ныне საუერთიერთო *взаимный*, საუერთიერთო ნდობის ბანკი 'банк *взаимного* кредита'.

გზა სიარულმა დალია, 'Дорога иссякла от ходьбы,
სიპი ქვა წყალთა დენამა, Камень-булыжник от течения вод;
დალია გოგო და ბიჭი Девушка и парень извелись
ერთმანეთის ცქერამან: От взирания друг на друга'.

დენამა в поэзии вм. დენა-მ (но форма დენამა вполне правильная, лишь средневековая, а древняя — დენამან; ср. ცქერამან вм. ცქერამ).

буд.=сосл.

რამდენს ხანს ვიკითხო მე წიგნი? ჩემმა დამ ანგარიში სანამდი სწეროს? დედა ჩემმა პური სანამდი აცხოს და მამა ჩემის შინ მოსვლას ელოდინოს || უცადოს?

§ 40. Распределение времен и наклонений по видам несоверш. и соверш.

Первые времена.

Несов. вид.	Соверш. вид.
н.	буд. (с предл.)
пр. н. (длительн., одновременность с другим).	ответное на условн. (‖ арм. кавк. с kə)
жел.	условн. (‖ арм. кавк. с kə)

Вторые времена.

нес. вид.	сов. вид.
аор. (многокр.).	аор. однокр.
буд.=сосл.	буд.=сосл. однокр.

Третьи врем.

(в действ.—объект. строя, в страд.—составные = прич. + вспом. гл.).

нес. вид.	сов.
пр. сов.	пр. сов. однокр.
давнопр.	давнопр. однокр.
прош. сосл.	прош. сосл. однокр.

§ 41. Абсолютные спряжения.

I спр.

осн. наст.	паралл.
ა. ვ-სტავ 'пряду'.	ა. ვ-ხარშ-ავ 'варю'.
ა². ვ-ირთავ	ბ. ვ-კიდ-ებ (ხელს) 'трогаю'.
ბ. ვ-დებ 'кладу'.	ბ². ვ-იტირ-ებ см. в сов. виде.

I спр.

осн.	наст.	паралл.
ბ². ვ-იწყებ 'начинаю'.		ბ³. ვ-აჩქარ-ებ 'тороплю'
ბ³. ვ-აქებ 'хвалю'.		გ. ვ-ჩქარ-ობ 'тороплюсь'.
გ. ვ-დობ 'кладу'.		გ. ვ-ტყობილ-ობ 'узнаю'.
გ³. ვ-ადნობ 'плавлю'.		გ. ვ-კითხულ-ობ 'читаю'.
დ. ვხსნი 'развязываю'.		დ. ვ-თოხ-ნ-ი 'копаю'.
ე. —		ე. ვ-წერ 'пишу'.
» —		ე. ვ-თხოვ 'прошу'.

II спр.

ა. ვ-კლავ 'убиваю'.
ბ. нет
გ². და-ვიპყრობ см. сов. в., გ. ვ-პყრობილ-ობ 'завладеваю' по I-му спр.
გ³. ვ-ასწრობ 'опережаю'.
დ. ვ-ჭრი 'режу'.
» ვ-ცვლი 'меняю'.

III спр.

ა. ვ-წვავ 'сжигаю'.
» ვდგამ 'ставлю'.
искл. ვსვამ 'пью' (ср. ОТ др.-лит. ვსუამ).
ა². ვ-ირტყამ სარტყელს 'опоясываю себя поясом'.
ა³. ვ-ასხამ 'лью' (ვ-ა-სხამ 'лью на него').
ბ. ვ-კრეფ 'срываю' (плоды), 'собираю' (плоды).
» ვ-ხვრეტ 'просверливаю'.
ბ². თავს იჭერს 'себя держит'.
ბ³. ვ-აჯდენ 'сажаю'.
ვ-არჩენ 'питаю (оставляю в живых)'.

§ 42. Типы относительных спряжений в примерах.

а) Относит. неоформл. (по смыслу: и вин., и дат.).

წინდამ თქვა, ოჯახის ქალი მუდამ მსტავს და თვითონ ფეხში-შველა დადისო. — მო-გ-კლავს, თუ არ მისდევ. — ყოველ სადამოს გვცვლის სადარაჯოზე. — დღეს ჩვენსას ყურძენს ჰკრეფენ.

ჩემი ძმა-კაცი ფულს მთხოვს და ვარს ვერ ვეტყვი.

თავს სჭრის კალამს და სტვირს აკეთებს.

-თქო полная форма, сокращенно — с утратой согласных -ო *сказал он* в смысле русского «говорит» в конце чужой речи: გვყავს-თქო || გვყავს-ო «у нас есть (*про живое существо*), г⌈ово⌉рит».

б) Относит. род. отнош.

ჩემი და წინდას მი-სტავს 'сестра вяжет («прядет») мне носки'.

მზარეული ქათამს გი-ხარშავს სადილათ 'повар готовит (букв. варит) тебе (букв. для тебя) курицу'.

ჩვენ მეზობელს ქათამი ყოველ დღე კვერცხს უ-დებს 'курица нашей соседке несет (букв. кладет) ежедневно по яйцу'.

პროფესორი ქართულ ზმას გვი-ხსნის ჩვენ, ამბობს, ძნელიაო 'профессор нам объясняет грузинский глагол; говорит, что он — труден'.

в) Относит. с дат. отнош.

ეს დალოცვილი ყანაში ზურგზე ისეთ ჭვირთს მა-დებს რომ შინ მიტანას ვერ ვძლებულობ «этот *проклятый* (букв. 'благословенный' евфемистически) накладывает мне на спину такую ношу, что я не в силах донести ее домой».

г) Относит. возвратные.

ვ-ი-თხოვ 'я прошу для себя'

ვ-ი-კრავ 'я бью себя', 'я даю || позволяю бить себя'

ბედაური (|| გვარიანი) ცხენი მათრახს არ იკრავს

'породистая[1] лошадь не даст (н.) бить по себе (ней) нагайкой'.

მე წიგნს ვკითხულობ, ჩემი და ანგარიშს სწერს, დედა ჩემი პურს აცხობს და სამსახურში წას⌈რ⌉ულ მამას ელის || უცდის.

მამა ჩემი წიგნს კითხულობს, მე ანგარიშს უწერ, ჩემი და ვახშმათ ლობიოს გვი-ხარშავს, ბებია ჩემი საგებს მი-ცვლის, დედა კი პერანგს ი-რეცხ⌈ავ⌉ს.

§ 43. სმა 'пить', ჭამა 'есть', 'кушать'.

სმა-ჭამა — დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?

რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია (P).

---

[1] გვარიანი — «породистый», но и «порядочный»; ბედაური собств. «бедуинский».

'Пить и есть очень полезно, от хранения какая выгода? Только то, что раздашь, становится твоим, а чего не раздашь, то погибло!'

დიდად вм. ново-г. დიდათ

სავარგული, теперь სავარგისი 'годный', 'полезный'

რა სავარგულია 'на что годно'?

სმა-ჭამა синоним პურობა 'пир' от პური 'хлеб', 'трапеза'.

პურის ჭამაზე შემოგვესწრა 'он застал нас за трапезой (обедом, ужином и т. п.)'.

დღე ერთ გარდახდა, პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა (Р).

В прозе ერთი დღე вм. დღე ერთი 'один день' в значении 'целого дня'.

გარდახდა теперь გავიდა ['прошел'].

'День целый прошел: пировали, пили и ели, наслаждались плодами' (букв.: 'хлебо-сольство, питье-едение было, фрукто-вание'). Из пород —

I п. ვ-სვამ 'пью', შე-ვსვამ 'выпью', ვჭამ 'ем', შე-ვჭამ 'съем', 'поем', пр. н. ვსვამდი (ვსვმი-დი), ვჭამდი.

III п. ა-სმ-ევ-ს 'поит его', 'дает ему пить', ა-ჭმ-ევ-ს 'кормит его': ვ-ა-თხოვ-ებ 'одалживаю'; 'выдаю замуж' [გა-ვ-ა-თხოვ-ებ *только* 'выдам замуж'].

ავი ძაღლი არც თვითონ სჭამს, არც სხვას აჭმევს

'злая собака ни сама не ест, ни другому не дает есть'.

IV п. ა-სმ + ევ-ი⌈ნ⌉-ებს 'он заставляет его пить', ა-ჭმ + ევ-ი-⌈ნ⌉-ებს 'он заставляет его есть'.

§ 44. Совершенный вид.

I спр.

буд.

ა. და-ვ-სტავ 'спряду'	ა. მო-ვ-ხარშავ 'сварю'
ა². შე-ვ-ირთავ 'женюсь'	ბ². მო-ვ-კიდებ (ხელს) 'трону'
ბ. და-ვ-დებ 'положу'	ბ². ვ-იტირებ запла́чу
ბ². და-ვ-იწყებ 'начну'	ბ². ვ-იჩქარებ; და-ვ-იჩქარებ 'поспешу'
გ. და-ვ-დობ 'положу'	ა². ვ-იკითხავ, წა-ვ-იკითხავ 'прочту'.
გ². შე-ვ-იტყობ 'узна̀ю'	ბ². და-ვ-აჩქარებ 'потороплю'
გ³. და-ვ-ადნობ 'расплавлю'	დ. და-ვ-თოხ-ნი 'вскопаю мотыгой'.

I спр.

буд.

დ. გა-ვ-ხსნი 'развяжу'   ე. და-ვ-წერ 'напишу'

დ. ა-ვ-ხსნი 'объясню'   ე. მო-ვ-თხოვ, полнее მო-ვ-ს-თხოვ 'потребую от него' (ს- 'от него', здесь буквально 'ему').

II спр.

ა. მო-ვ-კლავ 'убью'   დ. მო-ვ-ჭრი 'срежу'

» და-ვ-კლავ 'зарежу'   » და-ვ-ჭრი 'нарежу'

გ². და-ვ-იპყრობ 'завладею'   » გა-ვ-ცვლი 'променяю'.

გ³. გა-ვ-ასწრობ 'опережу'

III спр.

შე-ვ-სვამ 'выпью'   შე-ვ-ჭამ 'поем', 'съем', 'скушаю'

მო-ვ-სვამ 'я отопью', მო-ვჭამ 'я поем от него какую-либо его часть'.

შე-ვწვავ 'изжарю'

და-ვდგამ 'поставлю'

შე-ვირტყამ 'опояшусь'

და-ვასხამ 'налью на то', 'пролью'

ზ. მო-ვ-კრეფ 'соберу' (плоды), 'сорву'

გა-ვ-ხვრეტ 'продырявлю'

ზ². თავს დაიჭერს 'он будет держать себя', 'поведет себя'

ზ. და-ვ-აჯდენ 'посажу', 'усажу'

და-ვ-არჩენ 'заставлю остаться'.

§ 45. Прош. несов. и примыкающие к нему наклонения жел., условн.

пр. н.	жел.
ვ-სტავ-დი (‖ ვ-სტვიდი)	ვ-სტავ-დე (ვ-სტვიდე)
ვ-დებ-დი	ვ-დებ-დე
ვ-ადნობ-დი	и т. д.
ვ-ხსნი-დი	от остальных глаголов пусть
—	образует сам учащийся.
ვ-ხარჩავ-დი (‖ ვ-ხარჩვიდი)	

*

пр. н.	жел.
ვ-ჭამ-დი	Где -ავ, там и для пр. н., и для ж. всегда имеется параллельное образование с -ვი, так ვ-ხარჩ-ავ-დე || ვ-ხარჩ-ვი-დე.
ვ-აჩქარებ-დი	
ვ-ჩქარობ-დი	
ვ-კითხულობ-დი	
ვ-თოხ-ნი-დი	
ვ-წერ-დი	
ვ-თხოვ-დი	

Времена условн. сочетания соверш. вида:

ответное	условное
და-ვ-სტავ-დი (|| და-ვსტვიდი)	მო-ვ-ხარჩავ-დე
და-ვ-დებ-დი	შე-ვ-ჭამ-დე
	და-ვ-აჩქარებ-დე
და-ვ-ადნობ-დი	ვ-იჩქარებ-დე,
	და-ვ-იჩქარებ-დე
გა-ვ-ხსნი-დი	ვ-იკითხავ-დე,
	წა-ვ-იკითხავ-დე
და-ვ-ხსნი-დი	და-ვ-თოხნი-დე

пр. нес.

შენ რომ მოხველი, მე წიგნს ვკითხულობდი, ჩემი და ანგარიშს სწერდა, დედა ჩემი პურს აცხობდა და სამუშაოთ || სამსახურში წას⌜რ⌝ულ მამას ელოდა || უცდიდა.

жел.

მე წიგნს უნდა ვკითხულობდე, ჩემი და ანგარიშს სწერდეს, დედა პურს აცხობდეს და მამის დაბრუნებას ელოდეს || უცდიდეს.

условн. (← пр. нес.)

აქლემს უთქვამს: «რომ არ დამაჩოქებდენ, ქვეყანას ავიკიდებ»-ო.

§ 46. Страдательные и средние глаголы.

а) Первые времена:

наст.

н.: ვ-ისტვ-ი (ა^2).	ვ-იხარჩ-ებ-ი (ბ^2).
ვ-იხარჩ-ვ-ი см. ниже.	ვ-იყიდ-ებ-ი (ბ^2).
ვ-იკლვ-ი (II см. ниже).	ვ-იჩქარ-ებ-ი (ბ^2).
ვჯდებ-ი (ბ^1).	ვ-ითოხნ-ებ-ი (ბ^2).

ვ-იქებ-ი (ბ²).
ვ-რჩებ-ი.
ვ-იგმობ-ი (გ²).
ვ-ირჩობი.
ვ-თვრ-ებ-ი (ბ¹).

ვ-იხსნ-ებ-ი (ბ²).
ვ-იკვლ-ებ-ი.
ვ-ბღავ-ი 'ору'
ვ-ყვირ-ი 'кричу'

ვ-იწვ-ებ-ი (но и ვ-იწვი).
ვ-ჩქარ-დ-ებ-ი (ა³).
ვ-ხალის-დ-ები.
ვ-იეფ-დ-ები.
ვ-იძლევ-ი 'побеждаюсь', 'даю (← даюсь)'.
ვ-იკრიბ-ებ-ი.
ვ-იხვრიტ-ებ-ი.
ვ-იწვი 'горю'
ვ-იდგმი 'ставлюсь'.

пр. н.	ж.	пр. н.	ж.
ვ-იტყ-ო-დი	ვ-იტყ-ო-დე		
ვ-ჯდ-ებ-ო-დი	ვ-ჯდ-ებ-ო-დე	ვ-ბღავ-ო-დი,	-დე
ვ-იქებ-ო-დი		ვ-ყვირ-ო-დი,	-დე
ვ-რჩებ-ო-დი		ვ-იწვ-ო-დი,	-დე
ვ-იგმობ-ო-დი		ვ-იდგმ-ო-დი,	-დე
ვ-ირჩობ-ო-დი			
ვ-თვრებ-ო-დი			
ვ-იხსნებ-ო-დი			
ვ-იკვლებ-ო-დი			
ვ-იხარჩებ-ო-დი			
ვ-იყიდებ-ო-დი			
ვ-იჩქარებ-ო-დი			
ვ-ითოხნებ-ო-დი			
ვ-ჩქარდებ-ო-დი			
ვ-ხალისდებ-ო-დი			
ვ-იეფ-დ-ებ-ოდ-ი			
ვ-იძლე⌈ვ⌉-ო-დი			
ვ-იხვრიტ-ებ-ო-დი			

Учащийся сам образует это время от остальных глаголов.

ვ-იც-ო-დი от ვიცი 'знаю'

დათვმა კბენა არ იცოდა, კაცმა კბენა ასწავლა.

б) Вторые времена,

общие со спряжениями д. залога, когда действ. глагол 2-й породы:

аор.	сосл.
ვ-ი-სტე, ი-სტო	ვ-ისტო
ვ-ი-ქე, ი-ქო	ვ-იქო
ვ-ი-გმე, ი-გმო	ვ-იგმო
ვ-ირჩვე — და-ვირჩვე, და-ირჩო	და-ვირჩვე
ვ-იხსენი — და-ვ-იხსენი	და-ვიხსნა
ვ-ი-კალი — და-ვ-იკალი	და-ვიკლა
ვ-იხარჩე, იხარჩა	ვ-იხარჩო
ვ-იჩქარ-ე	ვ-იჩქარო
ვ-ითოხ-ე	ვ-ითოხო
ვ-იწვი — და-ვ-იწვი	
ვ-იძლი-ე	ვ-იძლი-ო
ვ-იკრიბ-ე	ვ-იკრიბ-ო
ვ-იხვრიტ-ე	ვ-იხვრიტ-ო
ვ-ი-ბღავლ-ე	ვ-ი-ბღავლ-ო
ვ-იყვირე	ვ-იყვირ-ო
ვ-იდგი — და-ვ-იდგი	

пр. сов. დადგმულ ვარ (в живой речи: დავდგმულ ვარ).

1 п.	ვ-ჯედ — შე-ვ-ჯედ	შე-ვ-ჯდე
	არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.	
	ვ-რჩი — და-ვ-რჩი 'я остался'	და-ვ-რჩე
	მო-ვ-რჩი 'я избавился', 'исцелился'	მო-ვ-რჩე

მორჩა და გაათავა 'отделался', 'покончил' (буквально: 'избавился и кончил')

ვ-თვრი ← ვ-თვერი — და-ვთვრი, და-ვ-თვერ-ი	და-ვ-თვრე
ვ-ჩქარდი — ა-ვჩქარდი	ა-ვ-ჩქარ-დე
ვ-ხალისდი — გა-ვხალისდი	и т. д.
ვ-იეფდი — გა-ვ-იეფდი	

§ 47. Производство относительных спряжений.

Относительные спряжения представляют те же формы, что основные, но с присоединением к ним выражающих отношение объективных местоименных придатков, всё префиксов, в виде неоформленном მ, გ, ს || ჰ, გვ и т. д. или в формах то род. падежа მი-, გი-, უ- (← *ჰი-) и т. д., то дат. მა-, გა-, ა- (вм. *ჰა-) и т. д. Единственная оговорка требуется касательно обращения характера Д. падежа ა при встрече с характером породы ი, по слиянии ა+ი в ე: მე-, გე-, ე- (вм. *ჰე-), გვე- и т. д.

Надо кроме того знать, что при встрече субъективного префикса 1-го л. ვ- с объективным 2-го л. გ-, т. е. при получении группы ვგ, первый ვ отпадает, равно и префикс 2-го л. ჰ- || ს- и субъективный, если даже он был.

Нф. ვ-სტავ 'пряду' понимается однако и относительно 'я пряду то', как если бы было ვ-ჰ-სტავ.

	настоящее вр.			аор.
	მ-სტავს,	მ-სტავ	—	—
	გ-სტავს,	—	გ-სტავ	—
	⌜ჰ⌝-სტავს,	⌜ჰ⌝-სტავ,	ვ-⌜ჰ⌝სტავ	—
Р.	მი-სტავ-ს	მი-სტავ	—	მი-სტო
	გი-სტავ-ს	—	გი-სტავ	გი-სტო
	უ-სტავ-ს	უ-სტავ	⌜ვ⌝-უ-სტავ	უ-სტო, ⌜ვ⌝უ-სტე
Д.	მა-სტავ-ს	მა-სტავ	—	მა-სტო
	გა-სტავ-ს	—	გა-სტავ	გა-სტო
	ა-სტავ-ს	ა-სტავ	ვ-ა-სტავ	ა-სტო, ვ-ასტე

Д. стр. залога, II порода (ი-) с отношением ა-, т. н. IV порода:

მე-სტვება (← მა-ისტვება) მე-სტვებ-ი გე-სტვებ-ი

пр. н.

II п. ვ-ი-ცინ-ო-დი 'я смеялся', ვ-უ-ცინ-ო-დი 'я улыбался ему'

IV пор. (Р. с отнош. Д.): ვ-ე-ცინ-ო-დი 'я смеялся над ним (букв.: ему)'.

კაცი ბჭობდა, ღმერთი ეცინოდა.

IV. მეცილებოდა 'он оспаривал у меня то'

მაზანდარელი თათარი გოჭის თავს მეცილებოდა.

аор.

	Нф.	Р.	Д.
I спр.	და-მ-სტო	და-მი-სტო	და-მა-სტო
	და-მ-იწყო	და-მი-წყო	
	'он начал мне || со мной'	'он уложил || разложил в порядке для меня'	
	და-მ-აწყო 'он уложил в порядке меня'		
	და-მ-დვა	და-მი-დვა	და-მა-დვა
	და-მ-კლა	და-მი-კლა	და-მა-კლა
I парал. спр.			
	მო-მ-ხარშა	მო-მი-ხარშა	
	და-მ-წერა	და-მი-წერა	და-მა-წერა
II спр.	მო-მ-თალა	მო-მი-თალა	
	შე-მ-ცვალა	შე-მი-ცვალა	

III спр.: გაიფხიკა (н. იფხეკს, б. გაიფხეკს)

ბოლოკმა თქვა: უკადრისმა გამთალა (II спр.), მსუნაგმა გამიფხიკაო.

Сред. (страд.) с отн.

аор.

მი-ვ-ა-დეგ 'я подошел к нему || тому', букв.: 'в ту сторону (идя), я ему (перед ним) встал'.

ბრმა ლობეს მიადგა და უთხრა: «შენს იქით გზა არსით მაქვს»-ო.

буд.=сосл. средн. (страд.) с отн.

ასეთი გოდორი დასწანით, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგეს.

§ 48. Образование третьей группы времен.

Прош. сов., давно прош., прош. сосл. [вспомогательные глаголы у них: н., пр. н., сосл. = жел.] следуют по одному из двух путей, в зависимости от того, хотят ли выразить переходность (действ. зал.) или непереходность (страд.).

A) В непереходных глаголах всегда описательные формы,

именно причастие страд. залога со вспомогательным 'быть', для прош. сов. — н. ვარ, для давнопрош. — прош. нес. ვიყავ и для прош. сосл. — сослаг. ვიყო, так:

Страд.

прош. с.	давно-прош.	прош. сосл.
გათავებულ ვარ	გათავებულ ვიყავ	გათავებულ ვიყო
ნახულ ხარ	ნახულ იყავ	ნახულ იყო
მოტანილ-ა	მოტანილ იყო	მოტანილ იყოს
მოსულ-ა	მოსულ იყო	მოსულ იყოს
დასტულ-ა и т. д.		
დაწერილ-ა и т. д.		

Действ.

Б) Используют описательные формы и переходные глаголы, но с глаголом 'иметь'. У переходных глаголов 3-ья группа времен

или описательная, она же I.

пр. сов.	давно-прош.	прош. сосл.
გათავებული მაქვს	გათავებული მქონდა	გათავებული მქონდეს
ნახული გაქვს	ნახული გქონდა	ნახული გქონდეს
მოტანილი აქვს	მოტანილი ჰქონდა	მოტანილი ჰქონდეს

или объективного строя, она же II,

когда используются формы объективного строя:

а) для прош. сов. с объективными префиксами род. падежа მი-, причем в конце глагольной основы то один суффикс 3-го лица -ს при форме основы настоящ. вр., то усеченный вспом. глаг. 3-го лица ა, при пассивной форме основы всегда с характером ი (-ია).

пр. сов.

გინახავ-ს	გამითავებ-ი-ა
მოგიტან-ი-ა	მი-თხრობ-ი-ა
მი-სტავ-ს	მი-ქნ-ი-ა
მი-თქვამ-ს	მი-ქ-ი-ა

б) для давнопрош. и прош. сосл.

მე- (←— მა-ი-) с 3-им л. аор. для давнопрош. и с 3-им. л. сосл. для прош. сосл.

давн.-пр.	пр. сосл.
მე-სტო	მე-სტოს
გე-ნახა	გე-ნახოს
მო-გე-ტანა	მო-გე-ტანოს
მე-ქნა	მე-ქნას
გა-მე-თავებ-ი-ა	გა-მე-თავებ-ი-ო-ს.

При переходном значении также встречаем, следовательно, в ново-грузинском описательный способ образования тех же времен, и также с причастием страд. залога, но вспомогательный глагол 'иметь' в нем всетаки также объективного строя — н. მაქვს, გაქვს (в общем ср. франц. passé indéfini) для прош. сов., пр. н. для давнопр. и сосл. (= жел.) для прош. сосл.

§ 49. Третья группа времен у глаголов ყოფნა 'быть' (н. ვარ), ყოფა || ქმნა 'делать' (н. ვშობი, б. ვიქ) и თქმა || თხრობა 'говорить' (н. ვამბობ, б. ვიტყვი).

пр. с.	ვ-ყოფილ ვარ	მიქნია მი-თქვამ-ს, многокр. მითხრობია
д.-пр.	ვ-ყოფილ ვიყავ	მექნა მეთქვა, многокр. მეთხრობია
пр. сосл.	ვ-ყოფილ ვიყო	მექნას მეთქვას, многокр. მეთხრობიოს
пр. с.	ნათქვამი მაქვს	многокр. ნათხრობი მაქვს.

Прош. сов.

ცხადია, მე წიგნი მიკითხავს, შენ ანგარიში გიწერია, დედა ჩემს პური უცხობია და მამა ჩემის შინ მოსვლისთვის ულოდნია || უცდია.

აჩქარებით სოფელი არავის მოუჭამია, ვინცა რომ ასჩქარებია, ბოლოს ჟამს დაუნანია.

Давнопрош.

კარგი იქნებოდა, იმ დღეს მე წიგნი მეკითხა, ჩემ დას ანგარიში ეწერა, დედას პური გამოეცხო და მამის შინ მოსვლისთვის ეცადა.

Части речи со службой связи.

§ 50. Местоимения: а) самостоятельные.

მე	შენ	ის ‖ იგი Р. მ-ის, Д. მ-ას
'я'‖'меня'‖'мне'	'ты', 'тебя'‖'тебе',	'он', 'тот'
ჩვენ	თქვენ	ისინი (ისენი) ‖ იგენი (იგინი)
'мы'‖'нас'‖'нам'	'вы'‖'вас'‖'вам'	Р. იგენის, Д. იგენს

Вм. იგენის, იგენს употребляются и древне-л. косвенные падежи Р., Д. მათ. Этот же მათ в значении лишь Р. с отношением (-ი) к именительному მათ-ი служит и, как Р., определительным ('их') и притяжательным ('ихний'). Точно также образованы притяжательные от შენ 'ты' — შენ-ი 'твой', для მე 'я' от ჩემ-: ჩემ-ი 'мой' и т. п. (см. § 51).

ა	ი
ა-გი 'этот', 'он' (у 1-го л.)	ი-ს ‖ ი-გი (у 3 го л.)
მა-გი 'этот', 'тот', 'он' (у 2-го л.)	
ვინ 'кто'	ვინ-მე 'некто', 'кто либо'
რა 'что'	რა-მე 'нечто', 'что либо'

სიდან (‖ სიდამ) 'откуда'.

სათ 'куда', სად⌈ა⌉ → სა 'где', 'куда'.

б) Соответственные местоименные придатки в глаголах, именно префиксы (см. § 15).

Местоименные префиксы.

к самост.	субъект.			объект.	
მე	ვ- : ვ-არ		Нф.	მ-	მ-წერ-ს
			Р.	მი-	მი-წერ-ს
			Д.	მა-	მა-წერ-ს
შენ	ხ- ~ ჴ- (↙ ხ-) → -	ხ-არ	Нф.	გ-	გ-წერ-ს
		ვლი	Р.	გი-	გი-წერ-ს
		(вм. *ჴ-ვლი)	Д.	გა-	გა-წერ-ს
					объект.
ი-ს	-ს: არი-ს, ვლი-ს, წერ-ს		Нф.	ს- ~ ჴ	: ს-წერ-ს
					ჴ-კრეფ-ს

მ-ან (Р. *მ-ი || *ვ-ი → უ-) Р. უ- : უ-წერ-ს
*ჴ-ი

Д. *ჴა- → ა- : ა-წერ-ს

§ 51. Притяжательные и указательные местоимения.

ჩვენ-ი თქვენ-ი მათი, ამათი, მაგათი (§ 49), იმათი
ჩემი, შენი, მისი (от ის, იგი)
ამისი (от აგი) მაგისი (от მაგი), იმისი (от ის, იგი)
თავისი, книжн. თჳსი (см. § 12) 'свой' (фр. son)
შენი ჭირი მე შენ გენაცვალე
ეს || ამ- იგი || მ-ან მაგი (древне-л. ეგე) || მაგ-ან.

§ 52. Из местоимений прилагательных, вопросительных и неопределенных.

სხვა სხვა და სხვა 'различные', და სხვა 'и т. д.'
ვინ, ვინ-მე; რა, რა-მე (см. § 50)
-მე '-либо', '-нибудь', 'не'-(нѣ-).
ვინდაც → ვიდაც ვინცხა (← ვინ-ც-და)
რადაც რაცხ-ა (← რა-ც-და)
სა, სად, იქ, მაქ || მანდ, აქ
სიდან (← სით-გან) საით → სით
რომ, რამდენი რომელი რომელი-მე
ზოგი

ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან,
ზოგსა კაცსა — კაცუნა,
ზოგს დედაკაცს დედაკაცი,
ზოგსა — დედაკაცუნა.

აზრი მესმის, ესე იგი ვიცი, რას იტყვის (ნიშნავს) სიტყვა «ზოგი», დაახლოვებით რუსულათ გამოითქმება: 'некоторые', 'некоторый', 'одни, другие' და სხვა.

იქ რა არი?
დედა ნახე, მამა ნახე, მერმე შვილი გამონახე
'яблоко от яблони не далеко падает';
ჩაიწერეთ! ბაყაყი წყალში ყიყინობს (-ებს)

§ 53. Союзы.

ამასწინათ (უწინ || ადრე) ნათქვამს ნაწილაკებს კიდევ მოვუმატებ.

რატომ (რატუმ)	მიტომ
რისთვის	მისთვის
რადგან	
როდის, როდისღა	როდისმე
книжн. ოდეს	ოდესმე
როდესაც	

Определительные части речи и придаточные частицы.

§ 54. Числительные.

ერთი კაცია და ათასი საქმე აქვს.

ერთი ვარ, ერთხელ მოვკვდები.

ორი ადამიანი მოდიოდა, ცოლ-ქმარი იყო.

ერთსა ვიტყვი, ორსა სჯობდეს, ქათამს დავკლავ, ღორსა სჯობდეს.

სამი ჭური მოჰქონდა ბოვშს.

სამუხოსა მინდორზედა (მინდორზესა ⟶ მინდორზე)

სამი მგზავრი მოდიოდა, სამსვე წყლის პირს დაუღამდა,
სამსვე ჩვენსა მოამბესა.

მებადემ ბადე გადაგდო (← გადააგდო),
სამი თევზი გამოჰყვესა (გამოჰყვეს),
სამი თევზი ტაფას ჩადვეს,
სახელები დაარქვესა (დაარქვეს).

ოთხი სართული თუ აქვს, დიდი უნდა იყოს სახლი.

ხუთი თვალი ოთახია მის სახლში.

ექვსი შვილი ჰყავდა მამაჩემს, ოთხი ვაჟი (ვაჟიშვილი) და ორი ქალიშვილი.

შვიდი დღე იარა მგზავრმა.

რვა წლის ბოვში.

ცხრა უღელი ხარი სჯობია არარაობას-ო.

ცხრაზე ერთიც მეტი ათი იქნება; ათი მცნება.

ათზე ერთით მეტი ძველათ ათ-ერთ-მეტ-ი იყო, ახლა იტყვიან: თ-ერთ-მეტი.

თ-ორ-მეტი	ორმ-ოცი
ცამეტი (თ-სამ-მეტი)	ორმოცდა ერთი
თ-ოთხ-მეტი	
თ-ხუთ-მეტი ‖ თ-უთხ-მეტი	ორმოცდაათი
თ-ექვს-მეტი	
ჩვიდმეტი (თ-შვიდ-მეტი)	ორმოცდათერთმეტი
თვრამეტი (თ-რვა-მეტი)	სამოცი (вм. სამმ-ოცი)
ცხრამეტი (вм. თ-ცხრა-მეტი)	სამოცდაათი
ოცი	ოთხმ-ოცი
ოც და ერთი	ოთხმოცდაათი
ოც და ათი, ოცდათერთმეტი	ასი 'сто', ორ ასი 'двести' и т. д.
	ათასი 'тысяча'

ასმა კაცმა ვერ შეჭამა
პატარძალმა ლუკმად ჰყო

'(чего) сто человек не смогли съесть,
(то) невестка сочла достаточным для (одного) куска'.

ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზდილობა[1],
თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.

კარგია хорошо, კარგი კაცია, «ათასად», «კაცად» სწერენ ძველებურად, გამოთქმაში კი გვესმის: ათასათ, კაცათ.

დრო დაჰკარგა 'он потерял время', განკარგულება მოხდა 'сделано (произошло) распоряжение', ვარგა 'годится', არ ვარგა 'не годится', ცუდი ‖ გლახა 'дурной', ცუდი 'пустой' (орех), но и переносно, так в стихе თუ კაცი კაცათ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.

§ 55. Сравнительная степень.

Префикс უ-, обыкновенно с суффиксом -ეს, в нескольких случаях -ოს

უკეთესი 'лучший',
უკეთესი კაცი არ იქნება ‖ არ მობიდა

[1] книжно: ზრდილობა.

უკეთესი საქმე არ გაგონილა

უკეთესი სანახავი არ მინახავს

უდიდესი ქალაქი საქართველოში თფილისია

უმშვენიერესი, უბედნიერესი

უფროსი ძმა მყავს და უმცროსი და

მშვენიერი 'прекрасный' (←'дитя' -⌈ვ⌉ერ 'красоты' შვენ-ი-),
Р. მშვენიერის и მშვენივრის.

ბედნიერი счастливый от ბედი (←*ბე-დინ) 'судьба', 'счастье', книжн. სვე.

§ 56. Отрицательный префикс უ-

უ- 'без-' с суффиксами -ო, -ურ в именах и -ელ в глагольных основах, здесь и без особого суффикса.

უ-თავ-ო 'без головы', უ-თავბოლ-ო 'бестолковый', букв. 'без начала и конца'.

უ-ქუდ-ო 'без шапки', 'с открытой головой',

უ-დედ-მამ-ო 'сирота', собств. 'без матери и отца'

უ-ნამუს-ო 'бессовестный',

უ-ბედ-ურ-ი 'несчастный',

უ-ხსენებ-ელ-ი 'не подлежащий упоминанию' (ხსენება 'упоминать'), მაგალითად (მაგალითათ) = например: გველი 'змея'.

უჭმელი 'не евший', უსმელი 'не пивший', ბევრსა სჭამს და ბევრს სვამს 'много ест и много пьет'.

უქმი 'праздник', букв. 'без делания' (ср. 'не-деля'), когда нельзя работать, უქმი და უჭმი в старину 'день постный', когда не полагалось ни работать, ни есть.

უ-რიცხვ-ი 'бесчисленный'.

§ 57. Обстоятельственные слова при глаголах (наречия) и именах.

სწორეთ (→ სწორე-დ) 'точно', 'именно', აღმა 'вверх' — აღმა მიდის, აღმართი 'подъем', დაღმა 'вниз' — დაღმა მიაჭენებს ცხენს, დაღმართი 'спуск', გაღმა 'по ту сторону' — გაღმა გავიდა, გაღმა გაიყვანა ზოვში, გამოღმა 'по сию сторону' — გამოღმა გამოვიდა 'сюда перешел' || 'переехал', გამოღმა გამოიყვანა ურემი 'сюда вы-

вел арбу', უკუღმა 'назад', 'превратно', 'неудачно', უკუღმა წავიდა მისი საქმე 'его дела пошли неудачно', უკუღმართი 'проказник'.

მაშინ 'тогда', მაშინც 'и тогда' მერმე (|| მერე) 'потом'
მაინც 'всетаки' (← მაშინც) შემდეგ, შემდეგში 'впоследствии', 'потом'
ახლა 'теперь' აწი 'отныне'
სხუმის ' другое время какое-либо', 'в иное время' (სხვა § 52)
არას დროს
მიდღემჩი (მი-დღემ-ჩი)
მუდამ (მუ-დამ)

(ср. арм. mıш-t, məш-tənden-a-wor).

Идеоопределительная морфология.

(Словообразование или семантическая морфолегия).

§ 58. Внутреннее образование простое, одной огласовкой или с удвоением корня.

а) ი внутри слова, чистого корня

прилаг. ხშირ-ი 'частый' сущ. კბილ-ი 'зуб'
ძვირ-ი 'дорогой', 'редкий' შვილ-ი 'дитя', 'сын'
გრილ-ი 'прохладный' ძილ-ი 'сон'.

б) ი внутри слова, корня с суффиксальным согласным ლ и др.

прилаг. (ტ)კბილ-ი 'сладкий' რბილ-ი 'мягкий'
წვრილ-ი 'тонкий' სხვილ-ი 'толстый'.

в) ა внутри слова, чистого корня: существительные

1) ძმარ-ი 'уксус' კვალ-ი 'след'
ქმარ-ი 'муж' კრავ-ი 'ягненок'

2) წაბლ-ი 'каштан', წალდ-ი 'топор с изогнутым лезвием'.

Есть и другие формы внутренней огласовки, ე, ო, უ, но они или разъясняются в части спряжения, или менее многочисленны, или менее природны для грузинского, напр., ხელი 'рука' ('руки'), ფეხი 'нога' ('ноги') (др.-л. ფერხ-ი, еще древнее ბერჴ в книжн. კვარცხლ-ბე⌈რ⌉კ-ი 'подножие трона'), отсюда и

ბრკ: და-ბრკ-ოლ-ება 'препятствие'.
ხელი და⌈ჰ⌉ბანა 'он вымыл у него (ჰ) руки'
ზე იდგა, ფეხზე იდგა 'стоял на ногах'.

г) Удвоение с внутр. оформлением:

1) полное простое и с перегласовкой

კამკამი 'сияние' (звезд); 'струя воды'
წამწამი 'ресницы'
ცანცალი (← *ცან-ცან-ი) 'бегание туда, сюда', 'трясение'
ხარხარი → ხარხალი 'хохот'
კასკასი || კისკისი 'хохот'
ბორ-ბალ-ი 'колесо'.

2) частичное
ხო-ხობი 'фазан'
კა-კაბი куропатка (ср. однако ქათამ-ი 'курица', ტყის ქათამ-ი 'куропатка', где при ქ—თ налицо как будто также удвоение: ქა-თამ-ი)
[წი-წილი || ჭუ-ჭულ-ი 'цыпленок'; однако м. ჭუჭე 'маленький']
გო-გორა 'колесо'.

§ 59. Внешнее образование:

A) Суффиксы —

-ელ || -არ (при другом რ в том же слове → ალ)

прилагательные

გძ-ელ-ი (გრძელი) 'длинный'
ბტყ-ელ-ი (ბრტყელი) 'широкий', плоский
სქ-ელ-ი (ზრქელი) 'густой'

Суффиксы с внутренним оформлением —
суффикс -არ (→ -ალ при втором რ в слове) при внутреннем оформлении ა

მართ-ალ-ი	მაგარი
ბარკ-ალ-ი	მაღალი.

Суффикс -ილ при внутреннем оформлении ი

ღვიძ-ილ-ი бодрствование.

Б) Префиксы სი- и სა-

а) სი- отвлеченные понятия

1) при суффиксах -ელ → -ე или -ა:

სი-გრძ-ე — სი-გძ-ე
სი-დიდ-ე
სი-ფართო-ე 'просторность', 'широта'
სი-ტყვა 'слово'
სი-სქო (← *სი-სქვა) 'толщина'
სი-თბო (← *სი-თბვა) 'теплота'
სი-რბილ-ი 'бег'
სი-ცინ-ი → სი-ცილ-ი 'смех'.

2) при суффиксах -ულ (вм. -ოლ) → -ო:

სი-ყვარ-ულ-ი 'любовь'
სი-ხარ-ულ-ი 'радость'.

б) სა-

1) при суффиксе -ელ → -ე:

სა-ფუძვ-ელ-ი 'фундамент', 'основание' (ср. ფუძ-ე 'основа', 'фундамент')
სა-ძირკვ-ელ-ი 'фундамент'
სა-თვალ-ე 'очки'
სა-ყურ-ე 'серьга'
სა-პან-ე (← სა-პალნ-ე) 'вьюк', мера в 30 ведер (в Гурии 30 батманов, ბათმანი 20 фунтов)
სა-პირ-ე 'лицевая сторона', 'верх' (материи в платье).

2) при суффиксе -ულ (вм. -ოლ) → -ო:

სა-რჩ-ულ-ი 'подкладка'
სა-ჭირ-ო 'нужное'
სა-ყელ-ო 'воротник'
სა-ხელ-ო 'рукав'
სა-ლიტერატურ-ო 'литературный'
სა-პოლიტიკ-ო 'политический'
სა-ფეხ-ურ-ი 'ступень'
სა-ლაპარაკ-ო 'предмет разговора'.

თევზმა თქვა: «სალაპარაკო ბევრი მაქ (|| მაქვს), მარა (книжн. მაგრამ) პირი წყლით მაქ (|| მაქვს) სავსე»-ო.

3) при основе с характером ი без особого суффикса

სა-დილ-ი 'обед'

სა-თიბ-ი 'сенокос' (место)

სადილათ ვარ დაპატიჟებული.

Суффиксов еще много, в числе их и -ნარ (III, § 20).

§ 60. Префикс მა- при суффиксе -ელ, это имя действующего лица:

მა-ტარებ-ელ-ი 'водитель'; 'поезд' (собств. '[паро]воз')

მა-ქებ-ელ-ი 'хвалитель'

პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულია.

§ 61. Не всякий начальный слог სი- или სა- однако есть префикс, равно მა- и т. п., так —

а) вовсе не префикс слог სი в таких словах, как

სი-ძე 'зять', 'жених' ძე 'сын', ს- от სახლი 'дом': 'сын дома'

სი-მამრი 'тесть' მამ-რ (მამ-ალ → მამ-ა) 'отец дома'

სი-დედრი 'теща' დედ-რ (დედ-ალ → დედ-ა 'мать дома')

ს-ძალ-ი || რ-ძალი 'невеста', 'невестка' -ძალ- 'женщина', самостоятельно не сохранилось, вм. него ქალ-ი: ქალ-ი — та же форма, но по корню спирантного типа, следовательно ს-ძალ-ი → რ-ძალ-ი 'женщина дома', однако слово ძალ-ი существует, но значит 'сила' (первоначально 'рука'), потому ძლევ-ა 'давать', 'побеждать' — ვ-აძლევ 'я даю ему', букв. 'я вручаю ему' [ძლ ← ძალ 'рука'] и ვ-ს-ძლევ 'я осиливаю || побеждаю его' (ძლ ← ძალ 'сила').

სილ-ა 1. 'песок', 2. 'почещина'

სინდის-ი (სვინდის-ი) 'совесть' (греч.)

სირინოზ-ი 'сирена'

სირ-ი 'воробей' (др.-л., теперь ბეღურა).

б) Также не префикс слог სა- в следующих словах:

სამ-ი 'три' სამე 'где либо'

სან-ი название буквы ს საზი музыкальный инструмент струнный (из перс.)

სარ-ი 'кол' (в плетне)

სად[ა] 'где', 'куда' სადა 'простой' (из перс.).

в) Нет префикса მა- и в მარჯვენა 'правый', მართალი 'праведный', 'правда', მახე 'западня', მახა 'он точил' и т. п.

*

Древнелит. переживания в современном грузинском.

§ 62. Из падежей древне-литературного языка.

ორი თვე პირველ-დასაწყის[1] ცნობებს[2] მოვანდომეთ[3], ახლა ძველი სამწერლო ენის ბრუნვებისგან —

მრავლობითი რიცხვი

სახელობითი (Им.)	-ნ-ი: ცა-ნ-ი небеса
ნათესაობითი (Р.)	-თ (← თა): ცა-თ
მიცემითი I (Д. 1)	
მიცემ. II (Д^II. = активный)	
მოცილებითი отлож.	
მათ их, им	

კაცთ-მოყვარე 'человеколюбивый', букв. 'любитель людей'.

თუ სახელობითი ქვემდებარე[4] წიგნობრივი მრავლობითის, ზმა აუცილებლათ[5] მრავლობით⌈ს⌉ სახეს[6] ღებულობს[7], მაგალ.: მუშანი ტყეს ⌈ს⌉ჭრიან.

II. ქართულში სავარჯიშო ნიმუშები და სიტყვათ ახსნანი.

§ 1. В гостях и за угощением.

და-პატიჟება 'приглашать', მი-წვევა 'приглашать'
და-პატიჟა (და-პატიჯა, და-პაიჯა)
მი-იპატიჟა — მი-იწვია, მო-იწვია
და-ეპატიჟა
ე-სტუმრა 'пришел (|| приехал) к нему в гости'
გა-ისტუმრა 'спровадил его'; 'уплатил ему'
ე-მასპინძლა (ემაინძლა)
პატიჟი (↗ პატიჯი, პაიჯი) 'приглашение'
სტუმარ-ი 'гость'
მასპინძელ-ი (→ მასინძელ-ი → მაინძელი) 'хозяин'

---

1 პირველდასაწყისი первоначальный. 2 ცნობა сведение. 3 'Мы сделали нужным' (ნდ от უნდა 'нужно', см. § 33) || 'употребили на то'. 4 «Подлежащее». 5 «Неизбежно», «непременно». 6 სახე 'форма' (собств. 'вид'). 7 «Принимает».

საუზმე 'завтрак'
სადილ-ი 'обед'
ზარმქლი 'трапеза перед сумерками'
ვახშამი 'ужин'
პურ-მარილი 'хлебосольство'
პურ-ღვინო 'угощение', букв. 'хлеб-вино'.

§ 2. При встрече и расставании.

გამარჯობა 'добрый день!' 'здравствуй!' (букв. 'победа!').

გაგიმარჯოს 'добрый день тебе!' 'здравствуй' (ответ), букв. 'победа тебе!'.

მშვიდობით 'прощай!', букв. 'с миром!' или 'покоем!'.

ნახვამდის (|| ნახვამდინ, ნახვამდი) 'до свидания'.

დილა მშვიდობის 'доброе утро' (и отв. также), букв. 'утро мира!'.

ღამე მშვიდობის 'прощай' (ночью), букв. 'ночь мира!'.

საღამო მშვიდობის 'добрый вечер', букв. 'вечер мира!'.

შორი გზაი (გზა) მოიარე,	'Обойди дальним (кружным) путем,
შინ მშვიდობით მიდი-ო.	'домой прибудь с миром!'

«გიორგოლს, გაუმარჯოს».

— გაგიმარჯოს!

«როგორ ბძანდებით?».

— მადლობელი ვარ, კარგათ გახლავარ, ცოტა უქეიფოთ ვიყავი.

«თქვენები (თქვენიანები) როგორ არიან?»,

— არა უშავ⌈ს⌉თ.

«სად მიხვალ?» კიდევ როგორ ითქმება? მაგალითად, თუ უფროს ეუბნებით ან ზრდილობიან კილოს ხმარობთ: «სად მიბძანდები?».

— საქართველოში მივალ. უფრო ზრდილობიანი კილო?

— გიახლები.

§ 3. О недоразумениях от созвучия.

დღეს პირველი ლექცია გამეორებას მოვანდომოთ 'сегодня первую лекцию используем для повторения!'

გურულს ჰკითხეს ცურვა იციო და მან უპასუხა: «ზღვაში არა და ტყეში კი»-ო.

ცურვა 'плавать', но и 'плавно ходить'.

ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

თეკლე ქალის სახელია, ნიკო კი კაცის

'Фекла женское (букв. женщины) имя есть, Николай же — мужское'.

ადამიანი, კაცი, ქალი, ქარი... კიდევ 'еще'?
'человек', 'человек' 'мужч.', 'женщина', 'ветер',

«კარი» არ გახსოვთ? '«кар-и» ('дверь') не помните'?

კარი სხვაა და ქარი სხვა 'kar-i 'дверь' (нечто) иное есть, а qar-i 'ветер' — иное'.

ქარი ქრის, ქარი ბერავს 'ветер веет, ветер дует'.

თებერვალი ბერავს-ო, '«февраль дует», говорит
მარტი კაბას კერავს-ო «март платье шьет», говорит'.

ჭურჭელი თაროზეა 'посуда — на полке' (-ა 'есть').

§ 4. 'Да', 'хорошо', 'нет' и выражения вежливости.

დიახ

კი:

კი, ამხანაგო (по наследию от феодальной среды: ბატონო).

კეთილი хорошо	კეთილი
კარგი —> კაი	(კარგი хороший)
ხო 'да'	
არა	ვერა
არა, ამხანაგო ‖ ბატონო	ვერა, ამხანაგო ‖ ბატონო
არ მოდის	ვერ მოვა
მადლობელი ვარ	
გმადლობ	
უკაცრავათ (უკაცრა ვართ).	

§ 5. Упражнение (ვარჯიში) в сочетании имен родства с притяж. местоимениями, в числительных и т. п.

ჩემი და	ჩემი ძმა	
ჩემი ცოლი	ჩემი ქმარი	
	ჩემი შვილი,	
დედა ჩემი	მამა ჩემი	ბიძა ჩემი

ერთი 1, ორი 2, სამი 3 ... დაწერეთ! напишите!

პირველი, მეორე, მესამე... გაიმეორეთ! '1-ый, 2-й, 3-й, повторите!'

ცოტას რამეს (რასმე⌈ს⌉) ახალს 'кое что (немногое нечто) нового' მოგახსენებ 'я скажу (или доложу) вам';

და გასრულ ლექციაზე ახსნილი გავიმეოროთ 'и мы повторим объясненное на прошлой лекции'

მე დავწერ, თქვენ წაიკითხეთ და ჩაიწერეთ

'я напишу, вы прочтите и запишите у себя (в ваши тетради)!'

რამე: რა ამბავია 'что случилось?' მო-გა-ხსენებ 'то ‖ это в эту сторону тебе ‖ вам поведаю ‖ доложу'.

ახალ-ი	გა-ვ-იმეორ-ო-თ
'новый'	пов. = буд. мн. ч. = 'повторим'. 'по (сторона:
გასრულ-ი	გა)—я (→мною: ვ)—характ. 2-й породы (ი)—
прошлый	второй (მეორ-ე)—характ. буд. показат.
ახსნილ-ი	(ო-ვა) — множеств. ч. (თ)'.
объясненный.	

§ 6. Из словарных разъяснений: ნიშანი, ნიშნავს.

«ნიშნავს» თქვენ ახლა კარგა იცით, თუ რა არის, არა? —

მაშ ბძანეთ რუსულად!

სცდებით. კეთილი.

ნიშნავს წარმოდგება სიტყვისგან ნიშან-ი 'знак', «ნიშან» კი სპარსულია და სომხურიც (სპარსულად გამოითქმება «ნიშა̄ნ», სომხურად — «ნჷშა̆ნ»).

წმინდა ქართული სიტყვითაც ითქმება «ნიშნავს», სახელდობ⌈რ⌉ «იტყვის», მაგ. «ნიშანი» რას იტყვის?

ნიშანი ქართულად სხვა რამესაც[1] იტყვის? იცით რას? — რუსულ «мишень»-ს ან «цель»-ს, მაგ.: «ნიშან» по-грузински значит и нечто другое. Знаете что? — Русское 'мишень' или 'цель', напр. მონადირემ ყურდღელი ნიშანში ამოიღო 'охотник прицелился (букв.: «в цели вынул») в зайца', ნიშანი მაშ რუსულ 'цель'-ს იტყვის, მარა რუსული «цель» სხვა რამესაც[1] იტყვის, მაგალითად — «у него хорошая цель» 'მას კარგი მიზანი აქვს', ამ შემთხვევაში ქართულად «ნიშანი» აღარ ითქმება.

---

[1] რასმეც (წიგნობრივად).

§ 7. Страны и природные языки в Грузии.

საქართველოში ბევრი სხვა და სხვა მხარეა, მაგალითათ ქართლი, კახეთი, ხევსურეთი, მესხეთი (ძველად სამცხე), იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო ან ოდიში, აფხაზეთი. აფხაზეთი ცალკე რესპუბლიკას შეადგენს ახლა, თუმცა საქართველოსთან ერთ ფარგალში მოქმედობს. მისი სატახტო ქალაქი ცხუმია ან სუხუმი. **В Грузии много различных стран . . .**

ამ მხარეებში დედა ენა ზოგან ქართულია და ზოგან საკუთარი. ასე — ქართლელი, კახელი, ხევსური, იმერელი, რაჭველი, ლეჩხუმელი, გურული, აჭარელი ქართულს ლაპარაკობს როგორც დედა ენას, მეგრელს, სვანს და აბხაზს თავისი დედა ენა აქვს: მეგრული, სვანური და აბხაზური. მათგან აბხაზი საზოგადოთ მხოლოდ აბხაზურის მცოდნეა, მცირეა ქართულის მცოდნე, მეგრული უფრო იციან, ოდიშის განაპირა აბხაზები ორ-ენიანია — ლაპარაკობენ აფხაზურად და მეგრულად. მეგრელი და სვანი — ორ-ენიანი, დედა ენის გარდა ქართულიც იციან, ქართული მათი სამწერლო ენაა, საქართველოში ოსურსაც შეხვდებით, სომხურსაც და სხვა ენასაც. მათ აქ არ ვეხებით.

აჭარელიც ორ ენიანია, ხშირად იცის თათრული.

§ 8. Из рек и городов Грузии.

საქართველოს უდიდესი მდინარეები არის — მტკუარი, რიონი და ჭოროხი, მათზე დიდი ქალაქებია მდებარე (|| აგებული), მტკუარზე თფილისი, რიონზე ქუთაისი და ჭოროხზე ბათომი.

ბათომი და მისი მხარე ახლანდელ საქართველოსგან ჯერჯერობით თითქო გამოყოფილია, აჭარის რესპუბლიკას შეადგენს.

სხვა მოდიდო მდინარეები — ენგური სვანეთში და კოდორი აბხაზეთში, სუფსა გურიაში. მტკვარს ერთვის არაგვი ქართლში და ალაზანი კახეთში, რიონს იმერეთში — ყვირილა, ჭოროხს იმერხევი ან შავშეთის წყალი.

წყალი ქართულად რუსულ вода'საც ნიშნავს და река'საც და речка'საც, ручей კი ღელეა და მდინარე მხოლოთ река.

საქართველოს უბათუმოთ და უსუხუმოთაც აქვს ზღვაში გასავალი გზა — ფოთში, რიონის ჩასავალს, და მდინარე მხოლოთ река.

ფოთი სამეგრელოს თავი ქალაქია, ოზურგეთი — გურიის, ონი — რაჭის, ახალციხე — მესხეთის ან სამცხესი, თელავი — კახეთის, იმე-

რეთში ქუთაის გარდა მოიხსენება ხონი, ყვირილა ან ზესტაფონი, ქართლში — გორი.

§ 9. О личных именах грузин.

სახელები ქართველებს ზოგი სპარსული აქვსთ, მაგალითათ ქეთევან, ვისი, როსტომ, თეიმურაზ, ზოგი თავის საკუთარი, მაგალითათ ნინო, ვარდო, გიგო, სიკო, კოტე, მაგრამ უმეტესი ეკლესიურია, საბერძნეთიდან შემოტანილი — ელენე, თეკლე, აკაკი, ეგნატე, პავლე, თედორე, გიორგი.

ქართველების გვარი სხვა და სხვა ყალიბზეა ჩამოსხმული, წმინდა ქართული გვარებიც, ჭავჭავაძე (ძე 'сын'), ჯავახიშვილი (შვილი 'дитя', 'сын'), წერეთელი, ცაგარელი, ბევრიც სრულიად საქართველოს სხვა და სხვა ენის შემონატანი, სახელდობრ მეგრული — დუდუჩავა, გუგუნავა, კვირკველია, მეუნარგია, ან აბხაზურ-მეგრული ალშიბაია (ალშ-იბა-ია), ჩერქეზული ინგოროყვა (ყვა ← ყო 'сын') და სვანური იანი (სვანურათ — ა̄ნი): ჩარკვიანი, ყიფიანი და სხვა.

§ 10. О грузинском и подсобных в Грузии или необходимых на Кавказе народных языках.

ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთს ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპის, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ქართული ენა უფრო მხატვრულად ხორცსასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად აგვიწერს და არა ზოგად ცნობებზე მხოლოთ გადაიღებს საჭირო აზრს.

და თუმცა ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია, მაინც მარტო ქართული არ კმარა, თუ ვინმეს (წიგნობრ.: ვისმე) ⌈ჰ⌉სურს შეგნებულათ იმგზავროს ხალხის სიზრქეში შესვლით და ხანგრძლივ იმუშაოს მთელ კავკასიაში, გინდა ზოგჯერ საქართველოშიც. აქ ხალხთან სამუსაიფოთ მის ადაგზე სვანურიც და თვით მეგრულიც გამოადგება კაცს.

განაპირზე კი ცოტა მაინც სომხურიც უნდა ჰქონდეს შესწავლული და თათრულიც (გინდა ოსმალური, გინდა ადერბაიჯანული ან ადრაბადაგანული).

რა საკვირველია, სპარსულის ცოდნაც ხელს შეუწყობს ადამიანს

და თვით არაბულისაც, უკანასკნელის დაღესტანში ავართა შორის და პირველის სპარსეთის მოსამზღვრე ნაწილებში ადერბაიჯანისა და ორვე განსაკუთრებით მაჭმადიანთ განათლების მინალებ წრეებში. ამდენ ცოდნის პატრონი უმაღლესის განათლების პიროვნებათ ჩაირაცხება და უმალ გაბატონებულ წოდებების განავლენ ფარგალში ფეხსაც მოიდგამს და ზურგსაც გაიმაგრებს სამუშაოთ, მარა ნამდვილ ხალხთან საქმის მოსაგვარებლათ ჩრდილო კავკასიაში აუცილებლათ საჭიროა ცოდნა აღმოსავლეთისკენ ლეკურ ენებისგან ავარულის მაინც, შვა მიდამოზე ჩეჩნურის ან ოსურის, დასავლეთისკენ ჩერქეზულის, აქვე მთის გადაღმა ცხუმის (სუხუმის) კენ აბხაზურის და ზოგან კიდევ სხვა, ქურთულის გამოუნაკლისათ. მარა ყველა ენას ჯერჯერობით ვინ მისდევს! ეგ დალოცვილი კავკასია ენით უფრო მდიდარია ვიდრე მთელი ევროპა, რასაკვირველია ვიდრე მისი ამ დარგში უსუსური მეცნიერება. საქართველოც ამ მხრით უფრო რთული და ვრცელი ქვეყანა გახლავს, გარწმუნებ, ვიდრე ზოგ უჩინარი ან გამოჩენილიც იყოს მეცნიერის გოგრა იტევს და სჯის.

§ 11. Живая грузинская речь и существующий метод ее изучения.

თუ მოსწავლე თავის დედაენის ბუნებით მცოდნე ქართველია, ეგ ხომ სულ სხვა საქმეა. ნამდვილ ქართველს ქართულის სწავლა არ სჭირია. კიდევ (|| კიდომ) მეტს მოგახსენებ (|| ვიტყვი). სკოლაში რომ ასწავლიან ქართულს, შემაწუხებელს და შემავიწროებელ კალაპოტში ხიჩრავენ და მის სიფართოეს ფხრებს უკეცენ ან სჭრიან, მის განუსაზღვრელს მრავალფეროვანებას ამარტივებენ. ხომ იცით, ინსტიტუტის წიგნსაცავში სხვათა შორის პეტრე მირიანიშვილის **«Практический курс грузинского языка»** მოსულა (⌈მ⌉წიგნ.: მოსრულა), სამი ცალი. მათგან ორი გადმომცეს თქვენთან სამეცადინოთ. ალბათ გახსოვსთ, წასულ ლექციაზე დაგპირდი, ამ ახალ წიგნს გავსინჯავ და ჩემ აზრს მოგახსენებ-მეთქი. ეგ მეორე გამოცემა გახლავსთ შესწორებული და გავრცელებული, დაბეჭდილია 1914 წელში ლოსაბერიძის სტამბაში, თფილისს.

თავში ჩართული აქვს მოკლე ცნობა სათაურით «მეორე გამოცემის წინასიტყვაობა», რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ შემთხზველს ბოლოს ხუცური ანბანი და ხუცური სავარჯიშო საკითხავი დაუმატებია. წიგნი დიდის სიყვარულით არის შედგენილი და ენის

კარგი ცოდნითაც, და ზოგ ადგილს ვისარგებლებთ[1], მარა მრთლივ ჩვენი მიზნისთვის ვერ ივარგებს, ნამეტარ წმინდავს და ახელოვნურებს ენას: «სარკმელთან უფრო სიგრილეაო» მის მაგიერ რომ ეთქვა, «ფანჯარასთან (ან აკოშკასთან) უფრო სიგრილეა»; რომ სარკმელი რუსულ «ОКНО»-თ მიგიხვდენ, ერთ დღეს სანთლით უნდა სძებნოთ, თუ ამხ. მირიანაშვილის ბინა არ იცით და იქნება გამგონი მონახოთ, თქვენ კი ცოცხალი ქართულის ცოდნა გჭირია და არა ძველებურის ან მერმინდელის. რუსულ ფრაზას (გვ. 163): «Ступай к дяде Баграту и попроси у него книгу для чтения», თუ მიჰყევი, ან მეთერთმეტე საუკუნეში უნდა ჩაბძანდე ან თფილისში სომხების უბნისკენ გაემგზავრო, თორემ ქართველ ბაგრატს ქუთაისში და სატახტოქალაქშიც დღეის დღისათ ასში ერთს ვერ შეხვდები.

იმავე სახელმძღვანელოში ნაჩვენებია, რომ ზოგი ასო, ანბანში განსაკუთრებითი ბგერის მქონი, სახელდობრ თ, ქ, დ, ძ, წ, ჭ, ჯ, ჰ გამოითქმიან ისე, როგორც სომხური թ, ք, դ, ձ, ծ, ճ, ջ, չ. ავტორს შეეძლო ეთქვა კიდევ, რომ ქართული ფ სომხურ փ-ს უდრის. ეს კარგი უქნია, მაგრამ გამოსადეგია მარტო მათთვის (იგენის თვის), ვინც სომხური იცის ან სომხურის შესწავლას აპირებს (აპირობს).

სიტყვების ახსნა ზოგან საეჭვოა, მაგალითად «ქოქი» 'проклятие'-ს არ ნიშნავს, როგორც ნაჩვენებია მე-8 გვერდზე, არამედ 'ძირს', თუმცა მართალია, წყევლა-კრულვაში იტყვიან ხოლმე, «ქოქი ამოუარდეს-ო» 'да изничтожится с корнем', მაგრამ აქ ქოქი 'ძირს' იტყვის, რუსულად 'корень' -ს, მთელი ფრაზა სიტყვასიტყვით: «ქოქ» ესე იგი 'корень да выпадет || выскочит у него', კიდევ იტყვიან: ქოქოლა დავაყარე-ო 'я проклял', მაგრამ ეს აგრეთვე ბუნებით ნიშნავს: «დასაქოლავი ქვა დავაყარეო», რუსულად: 'я насыпал (да насыплю я) на него камни для побивания'. საკითხავ მასალაში ადგილადგილ ფრაზები მაინც და მაინც სახელდახელო ვერ ამოურჩევია, მაგალითად (გვ. 137): «ძველი ბერძნების საზღაპრო ღმერთი აპოლონ მარჯვე მოისარი იყო»-ო, არც ქართული ენის შესასწავლათ, არც ქართველების ცხოვრების გასაცნობათ აგეთი ფრაზები საჭიროთ ვერ ჩაირაცხებიან. ხან შეცდომასაც ვხედავთ, ხუცური სიტყვა «ხუცი»-დან არისო წარმომდგარიო:

---

[1] ამ მოკლე ხანში ქართველებმა მეტყველების ფსიქოლოგია ისე გაირუსულეს, რომ ამ ფრაზას იტყვიან: «ზოგ ადგილით ვისარგებლებთ».

მღვდელი — ხუც-ესია და მისი ფუძე ხუც-, «ხუცი» კი არ სუფევს, ან «სიგრილეზე ყოფაო», ალბათ «ყოფნა» სურდა ეთქვა 'быть', «ყოფა» უფრო «ქნას» ნიშნავს.

§ 12. წევა 'тянуть', 'курить', при совершенном виде 'закурил' только с მო-: მო-სწია, а 'потянул' с любым из предлогов или наречий მი-სწია ა-სწია, და-სწია, ამო-სწია, ჩა-სწია, ჩამო-სწია, გა-სწია, გა-მოსწია, გარდა-სწია, გარდამო-სწია.

ჩა- || ძველ-⌈მ⌉წიგნობრივათ შთა-: შთაბეჭდილება 'впечатление'.

შემთხვევითი ამბავი.

— უკაცრავათ, გასულ ხუთშაბათს ლექცია გამოვსტოვე? ეს მოხდა ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზით. (|| ცენტრულ ||) ცენტრალურ[1] მუზეუმების კონფერენცია გახლდათ მოსკოვში, სამ დღეს გაგრძელდა, მაგრამ მე მთელი კვირის სამუშაოთ გამიხდა. წინა შაბათს გავემგზავრე და ამ გასულ შაბათს დავბრუნდი. თავმჯდომარეთ გამომირჩიეს.

კონფერენციამ, მგონია, საყოფიერათ ჩაიარა, ყოველ შემთხვევაში მუზეუმთ მოღვაწეებმა საქმიანი ხასიათი გამოიჩინეს! განათლების ნარკომიც მობძანდა უკანასკნელ სხდომაზე და დაგვპირდა, კონფერენციის დადგენილებას ყველას შევასრულებიებ მთავრობასო და სხვათა შორის ცენტრალურ მუზეუმების უსაჭიროეს მოთხოვნილებათ დასაკმაყოფილებელ ფულს მოვაცემინებო. მუზეუმები ახლახანათ დიდ განსაცდელში არიან, ვერ წარმოიდგენთ, რა გაჭირვებაში ჩავარდნილან ნივთიერათ. ასე იფიქრეთ, თვით ერმიტაჟში, ამ მსოფლიო მნიშვნელობის მქონ მუზეუმში, ეგრე წვიმს, რომ მისი დირექტორი უქოლგოთ ვერ ძლებულობს ზალაში გავლას, დაუფასებელს სურათებს სოკო გაუჩნდათ და ლამის დაიღუპონ. შენობის სახურავი ზამთარს ვერ გასძლებს, ჩამოინგრევა, თუ დროზე ვერ შეაკეთეს. ახალ შენებულებაში ცენტრალურ მუზეუმთ მნიშვნელობის შესახებ კონფერენციაზე სიტყვა წარმოვთქვი, მისი პირველი ნახევარი მოსკოვურ უწყებათ (Известий)

[1] ამ ევროპიულ სიტყვის ფჩხილებში ჩასმულ ერთდა ერთ სახის მიღება საჯობია წარმოების განყენებული თვალსაზრისით, ხმარების მიხედვით კი ჩვეულებრივი: «ცენტრალურ-ი»; აქაც სახიფათოა მარტო თეორიული მსჯელობით ხელმძღვანელობა: «ცენტრულს» იქნება ჩემს გარდა ზოგიერთმა მიგიხვდეს, მაგრამ ყველას ეხამება.

გასულ კვირის ნომერშია მოთავსებული, დანარჩენი შემდეგ ნომერში უნდა დაებეჭდათ, სამშაბათის გამოცემაში არ იყო.

§ 13. ძალიან გამაკვირვა (გამაკვირა) ჩემი მსმენლების ზოგ ქართულ სიტყვამ და ქართული სიტყვების შესახებ ზოგ დაკითხვამ. **აბა დახეთ!**

მოწაფეების ნაამბობში აღმოჩენილ ანუ ქართულ ენის თავგადასავლით შეცდომების შესახებ.

ერთი თავის გამოთქმულ ამბავში, გასასინჯავათ რომ გადმომცა, აგრე სწერს: „მარგანული ფოლადი უმეტესის სიმაგრეს აქვს“-ო.

თავი დავანებოთ მარგანულს, რომლის მაგიერ ზედშესრული ან ნათესაობითი ბრუნვა ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვიდან გუნდა-ქვა ან შავი-ქვა, თუ რუსულ марганец-ზეა სიტყვა, რომ ეგ შევასწოროთ ვთქვათ ასე — „შავი ქვის ფოლადი უმეტესის სიმაგრეს აქვს“, მაინც არ მესმის, ერთი, თუ როგორ ეთანხმება ნათესაობითი „უმეტესის“ მიცემითს „სიმაგრეს“, და მეორე, ესეც რომ გავასწოროთ ორივე მიცემითათ ასე — „უმეტეს სიმაგრეს“ და მთელი წინადადება გამოდგეს: „შავი ქვის ფოლადი უმეტეს სიმაგრეს აქვს“, უკიდურესი გაუგებრობა გამოდის ქართული ზმის დამართვით და კერძოთ „აქვს“ სახის შესახებ: «ა-ქვ-ს» რუსულათ ითარგმება 'имеет', მარა განა არ იცით, რომ ობიექტივურ სახეს წარმოადგენს და ნიშნავს 'у него (ა) — сущ (ქვ) — он (-ს)', ესე იგი 'у него есть' და მაშასადამე «შავი ქვის ფოლადი უმეტეს სიმაგრეს აქვს» ნიშნავს «марганцевая сталь есть у самой большой крепости». განა ამის თქმა სურდა ჩემ მსმენელს? და თუ ის უნდოდა ეთქვა «марганцевая сталь имеет самую большую крепость», ქართულათ 'აქვს' მისი ბუნებრივი მნიშვნელობით უნდა ეხმარა და შეუმცდარათ დაეწერა: 'შავი ქვის ფოლადს უმეტესი სიმაგრე აქვს'.

მეორე მსმენელი «უმანკო პატარძალის» იმ ძნელ და ვერ მისახვდომ სიტყვების სიაში, რომლებიც ჩუბინოვის ლექსიკონში არ იპოვებიან, მიწერს ასეთ ნიმუშებს, როგორც «პრისტავობა», «მივცეთ», «მიწური», «ცული», «ცხელი», «ვეტყვი» და სხვა. განა «პრისტავობა», ძნელი ასახსნელია, როგორც ნაწარმოები «პრისტავ-ი» სიტყვიდან? თუ ჩემმა რუს მსმენელმა არ იცის, რას ნიშნავს რუსული სიტყვა «пристав»? ან დავიჯეროთ, რომ ჩუბინოვის ლექსიკონში ვერ მოიძებნებიან

გადათვლილი სიტყვებისგან, მაგალითათ — «ცული» 'топор', «ცხელი» 'горячий', თუ დღემდი, ვთქვათ, არ გაგიგონიათ ლექციაზევე სხვა თუ არა «ცხელი» მაინც, ან ჩემ მსმენელს დაეჯერება, არ ესმოდეს, რა ძირიდან წარმოებდენ, რა სახეს წარმოადგენდენ და რას უნდა ნიშნავდენ, ვთქვათ, «მივცეთ» — «მიცემა», «მიწური» — «მიწა», «ვეტყვი» — «სიტყვა»?

ბოდიშს ვიხდი, მარა მსმენელის ასე დაუფიქრებლათ შედგენილი სია ვითომ-და ძნელ გასაგებარ სიტყვებისა უფრო საოხუნჯო მასალათ მისაღებია.

§ 14. ლექციებზე ნახმარი ან სახმარი სასიტყვა-პასუხო მასალა და მათზე დაკითხვა.

I. ა) კომედიიდან ვინ რა მოამზადა? უცნობი სიტყვების სიას ფილიპოვას გადავსცემ 'передам Филипповой'. «გადავსცემ» ნიშნავს კიდევ 'прокляну': ფილიპოვას გადავსცემ 'прокляну Филиппову'.

ბ) მიწა და ქვა-მადნეულებაზე ვინ მოამზადა სავარჯიშო მუსაიფი ან ამბავი?

გ) აბა ჩვენ დავამთავროთ შეწყვედილი ამბავი!

დ) სახარებაში გველის და მტრედის შესახებ თქმული რომ მოგიყვანე, ხომ გახსოვთ? — გამიმეორეთ აბა კიდევ ყვავზე და ბუზზე ანდაზა?

ე) მოთას თქმული ყვავზე და ბუზზე არ ჩაგიწერიათ?

ვ) მწყერობის და ხოხობზე განადირების ამბავი არ დამიწყია თუ დავიწყე და დამთავრება არ დამცალდა?

ზ) რა ალაგს შევწყვიდე?

თ) Смысловое оформление слов (словообразование).

ი) მცენარეების და ხეების სახელები.

II. ვინ რა მოამზადეთ?

— ზეპირათ რა იცით? გინდა შემთხვევითი ამბავი ცენტრალურ მუზეუმების შესახებ.

— უმანკო პატარძლიდან?

აბა მე მოგახსენებ, თუ რის მომზადება დამჭირდა. ჩაიწერეთ, ქართულათ მოგახსენებ, ესეც, თუ გნებავთ, აგრეთვე შემთხვევითი ამბავია.

III. — გასულ ლექციიდან ვინ რა მოამზადა?

— პატარძალი კომედიისგან ვინმემ დაიზეპირა რამე ნაწყვეტი?

— ვის აკლია კიდევ პატარძალში ნახმარ სიტყვების ცოდნა, ვის აქვს მომზადებული ასახსნელი სიტყვების სია, მომცეს. შემდეგ ლექციაზე ახსნით დაუბრუნებ.

— აბა მუსაიფის ნიმუშები ვინ მოამზადა?

§ 15. მოწოდებული თხზულების განხილვა.

— ვინ გადმომცა გასულ ლექციაზე მუსაიფის ნიმუში? ფრაზების შედგენის და სიტყვების მიხვრა-მოხვრის მიხედვით ახალ დაწყებული უნდა ჰქონდეს ქართულის შესწავლა. არა უშავს. მაშ — ვინ მომაწოდა? თქვენ, მგონია, შარშან თუ შარშანის წინ მოჰკიდეთ — არა? — ქართულს ხელი? მეტი მოგეთხოვებოდათ.

აბა, გავსინჯოთ.

I. ერთი, სახეების (ფორმების) წარმოება.

აქ ზოგი ისეა ნაწარმოები, რომ, გულახდილათ მოგახსენებ, არ გეკადრებოდათ. გამომიტყდით, მოწოდებული მუსაიფის შედგენის დროს თავი მაინც და მაინც არ გიტკენიათ, სათქმელს არ ჩაკვირვებულხართ, მაგალითათ, მარტო სახელის დარგში:

ა) «მადლა ბელივარ», ალბათ «მადლობელი ვარ», რუსულათ 'благодарю' გინდოდათ გეთქვათ: «ვარ» ზმა არის 'я есмь' და «მადლობელი» მიმღეობა 'благодарящий', 'благодарный', «მადლობა» 'благодарность' სიტყვიდან გამოყვანილი და თქვენ კი ორ ნაწილათ გაგიყვიათ «მადლა» და «ბელი». «მადლა» არა ნიშნავს რას. მართალია, სუფევს სიტყვა «მადლი» 'благодать', 'доброе дело'[1], 'благодарность', მაგრამ «მადლა» ვერც მას მოუდგება რამეთ, «ბელი» კი რუსულ 'детёныш'-ს იტყვის, უფრო დათვის შვილზე ხმარობენ ზოგ კუთხეებში. «დათვის ბელიო» 'медвеженок', ძველ მწერლობაშიც არის ნახმარი — სამღვთო წერილში (II მეფეთა 17, 8).

ბ) «ოქრომჭედელის» სიტყვა ცოცხალ ენაში «ე» ხმოვანის გამოკლებით იხმარება: «ოქრომჭედლის»; ეს კიდევ შედარებით არაფერია, მიგიხვდებიან მაინც, მაგრამ —

გ) სახელობითი ბრუნვის ხმარება, როდესაც ზმა აორისტია, ეგ მარტო სინტაქსის კოჭლობას არ მოასწავებს, ეგ იმასაც გვაჩვენებს,

[1] «მადლი ⌈ჰ⌉ქენი და მარილი წააყარე»-ო, ქართული ანდაზა ამბობს.

რომ ვერ შეგითვისებიათ ქართული ბრუნვების ხასიათი, თვარა არ იკადრებდით ცოცხალ ქართულად ასეთ მოუწყობელ სიტყვების შეუღლევას (შეუღვლას) — როგორც «სთქვა ოქრო», «სთქვა ფოლადი» იმის მაგიერ, რომ გებძანებიათ: «სთქვა ოქრომ» **'сказало золото'**, «სთქვა ფოლადმა» **'сказал булат'**. თუმცა სინტაქსს ეკუთვნის, მაგრამ აქ შევეხები მასაც: ყოვლად შეუძლებელია ითქვას «ჩემმა დამეკარგა», უნდა გეთქვათ «ჩემი დამეკარგა» **'свои (часы) я раньше утратил'**. ვერც ზმაში გაგიმაგრებიათ ფეხი.

დ) «გაგიმარჯოსა» მისი გასაოცარი ანით ბოლოში, მიკვირს, რამ დაგაწერიათ? ეგ მიცემითი ბრუნვა ხომ არ არის? ზმა გახლავს, მესამე პირი მომავლის; გაგიმარჯოს! 'да даст тебе победу' → რუსულად **'здравствуй'**, მომსალმებელს რომ უპასუხებთ. ასეთი სახეები კი «უყიდებით» ან «დავიყიდებ» ხომ ყოვლად შეუძლებელია: 'продаете' «ჰყიდით» უნდა გეთქვათ პირველ შემთხვევაში და მეორეში «ვიყიდი» **'куплю'**.

II. მეორე, ლექსიკონის სიღარიბე. მოვიყვანოთ ორი ნიმუში ჩვეულებრივი სიტყვის უცოდინარობის — 10 рублей «ოვუმანი». «ოვუმანი» კი არა (ასეთი სიტყვა სრულებით არ მოიპოვება), «თუმანი» გახლავს; არც ის მდინარე, რომელზედაც თბილისის ქალაქია მდებარე, ქართულად «ქურა» არ გახლავს: მტკვრის სახელი (სახელობითი «მტკვარი») დაუვიწყრათ უნდა გახსოვდესთ, ეგ რაღა ქართულის ცოდნა იქნება, თუ მტკვარი, რიონი, არაგვი და, როგორც სულხან ორბელიანი იტყოდა, «მისთანანი» არ გეცოდინებათ. მტკვრის და არაგვის შესახებ ბარათაშვილის ორიოდე ტაეპი დაიმახსოვრეთ მაინც:

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანი.

'Бежит к нам Арагва полная шумных арагвских вод (*букв.* «Арагвская»)
Вторят ей эхом (*букв.* «кричат вслед за ней») горы лесистые'.

16. იმავე პოეტის «ფიქრი მტკვრის პირად».
წარვედ წყლისა პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად;
იქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;

იქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით;
იქაც ყოველი არე მარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში ჰკრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.
იდაყვ-დაყრდნობილ, ყურს უგდებ მე მისსა ჩხრიალსა,
და თვალნი ჰრბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი[1].
და სხვა..

იმავე პოეტის «ბედი ქართლისა», კარი მეორე[2].

მორბის არაგვი, არაგვიანი[3],
თან მოსძახიან მთანი ტყიანი
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჰოი ადგილნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო[4], შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენ ბუჩქებში არა ჩამოხტეს,
რაც უნდა გზასა ეშურებოდეს!
როგორ იქნება, არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს[5],
გამოიღვიძებს, შუბლს გაიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს,
არაგვო, მაგ შენ გამწვანებულს მთებს,
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს.

---

1 გამოც., თბილ., 1879, გვ. 10.

2 იგივე გამოცემა, გვ. 33, 28.

3 ზოგი ხსნის: «არა გვიანი, ჩქარი».

4 მობიბინენო 'шелестящие' || 'зеленеющие'.

5 თვალს მოატყუებს 'глаза займет дремотою', 'обманет' || 'прикинется спящим', 'чуточку вздремнет'.

შემდეგ ლექციისთვის ვითხოვ მუსაიფი მომიმზადოთ ჭურის, მცენარეს, ზოსტნეულობის ან ხეხილების სახელებზე. ზოგს ამ სახელებისგან მე მოგახსენებ.

§ 17. აბა ბძანეთ, გავიგო (|| შევიტყო), ვის რა მოუმზადებია?

— კომედიიდან ვის აქვს ამორჩეული უცნობი სიტყვები და რვეულში ჩაწერილი ან ცალკე ქაღალდზე ამოწერილი? მიბოძეთ ასახსნელი სიტყვების სიები, თუ შედგენილი გაქვსთ, მომავალ ლექციაზე რუსული თარგმანის მიწერით მოგართმევთ და თან სიის დაბრუნებისას ზეპირათაც აგიხსნით, თუ ან მე მივი⌈მ⌉ჩნიე საჭიროთ რისიმე ახსნა ან თქვენ მთხოვეთ.

— გასრული ლექციიდან, ვინ რა იცით?

— მაშ სავსებით არვის დაგისწავლიათ მთელი ლექცია, არ შეგითვისებიათ ჩემგან მოხსენებული მასალა?

— ბძანეთ, ვინ რას მეტყვის ან მიამბობს ზეპირათ.

ან ერთი-და, გზაზე მდინარის შეხვედრის შესახებ, მეორე, ძაღლების ამბავი, მესამე, ცხოველთ შვილების სხვა და სხვა სახელები, მეოთხე, ვირის საგანზე რამ და ქათმეულობაზე შევაჭრებ. კიდევ ლექციაზე სასაუბრო სიტყვები გაიხსენეთ!

III. სხვა და სხვა წრის სიტყვები დარგდარგათ დალაგებით, სანიმუშო ბაას-მუსაიფი და სავარჯიშებლათ მოთხრობილი ამბები.

§ 1. Пресса.

— ძველი ჟურნალ-გაზეთების სახელები იცით?

— დიახ, ამხანაგო.

— ჩამომითვალეთ!

— გაზეთები «დროება», «ივერია» (შემდეგში ჟურნალიც იყო ამ სახელით), «ცნობის ფურცელი», «იმერეთი», ჟურნალები ზოგი უოველ თვიური იყო, ზოგი კვირეული — «ცისკარი», «კრებული», «ივერია», «მოამბე», «კვალი», «თეატრი», და სხვა.

— დღეის დღეობით რა ჟურნალ-გაზეთებს დამისახელებთ?

— «კომუნისტ»ს, «წითელ ვარსკვლავ»ს, ეგ გაზეთებია, ჟურნალთაგან კი «კავკასიონი» (შეწყდა), «მნათობი», საქართველოს უნივერ-

სიტეტის ერთი წყება სერია, მათ შორის «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე» და სხვა.

მოწინავე სტატია 'передовая статья'
დეპეშები 'телеграммы' (ед. ч. დეპეშა)
კორესპონდენცია 'корреспонденция'
კორესპონდენტი 'корреспондент'
ახალი ამბები 'новости'
ქრონიკა 'хроника'

ფელეტონი 'фельетон'
განცხადება 'объявление'
მკითხველი 'читатель'
ხელისმომწერი 'подписчик'
სტამბა 'типография'
ამწყობი 'наборщик'
გამოცემა 'издание'
გამომცემელი 'издатель'
რედაქტორი 'редактор'
რედაქცია 'редакция'.

§ 2. Круг космических слов.

ცა 'небо', ზეცა 'небо', ср. მი-წა ['нижнее небо' →] 'земля'
ზღვა 'море'
народн. მ-ცა 'небо'
მცას ეცა, დედამიწასა(ხალხური ლექსები, ძვ. საქ., III, განყ. 2 გვ. 18ª,12)
მზე 'солнце'

ქვეყანა 'мир', დედა-მიწა id. (ср. § 14)
ყანა 'пашня', 'поле' [თავდაპირველში 'небо', ერთი სამ ცისაგან, აქიდან], ქვეყანა 'мир', ქვესკნელი 'преисподняя' (სიტყვა სიტყვით «ქვე-ცა», 'нижнее небо')

ვარსკვლავი 'звезда'
მთვარე 'луна'
ჰაერი → აერი 'воздух'
ცაზე ვარსკვლავი კამკამებს.

ახალია 'ново' (букв. 'нов⌈о⌉ есть', про луну): 'новая луна' (მთვარე).
ღრუბელი || ღურბელი 'облако'
ნისლი 'туман', ღურბელი 'губка'

«ცისკარი» თუმცა სიტყვის მიდევნით 'ზეცის კარს' ნიშნავს, მარა რუსულ 'заря'-ს იტყვის.

ზღვა ნამეტარ (სასტიკათ) ღელავდა და მგზავრობა საშიშარი იყო, ცოტა დაწყნარდა და წავიდეთ, ბილეთი ვიყიდოთ.

მიწის თხრაში სვანებს ვერ ვინ აჯობებს. დედამიწაზე საქართველოსავით ბუნებით მოწყობილი ქვეყანა სხვა ძლივსღა მოიპოვება, მარა მის კარგათ მოწყობას დიდი ჭკუა სჭირია.

*

ქვესკნელში წავიდა (გაიარა) ჩვენი გაგზავნილი თუ სად დაიკარგა ამდენ ხანს?

მზეს ღრუბელი ეფარება.

მზის სხივი კიდეც გვინათებს და კიდე⌜ვა⌝ც გვათბობს.

ვარსკვლავი ბევრია და ერთი მთვარის საქმარს ვერ აკეთებენ.

მთვარე და მზე ზეცის ორი თვალია, ერთი დღისით ანათებს, მეორე ღამე.

ცამ გადიწმინდა, ჭაერი მშვენიერია. გადიღო.

მუდამ (||ყოველთვის||ნიადაგ) აღელვებული ზღვაც არ არის: ხან ღელავს და ხან წყნარია.

მზე რომ ერთდროს მხედველობის იარაღს, თვალს, ნიშნავდა, იმიდანაც მოსჩანს, რომ მზერა რუსულ 'смотреть'-ს იტყვის.

წელი 'год'
წელი 'стан' (собственно 'круг' от 'неба + года')
წელიწადი 'год'
წრეულს 'в этом году'
შარშან 'в прошлом году'
გაის 'в будущем году'
თვე 'месяц' ('луна' см. III, § 2).
თვენახევარი 'полтора месяца'
რიცხვი 'число'
ანგარიში 'счет'
თვლა 'считать'
მიითვალა книжн. 'принял'
დრო 'время', ხანი id.
დროგამოშვებითი 'периодический' (-ское издание)
ჟამ-ი 'время' (др.-л.), 'чума'

ზამ- ['*время']→ზმა: ხანის და-ზმა 'временить', 'ждать'.
ზაფ-ხულ-ი 'лето'
ზამ-თარ-ი 'зима'
გაზაფხული 'весна'
შემოდეგი || შემოდგომა 'осень'
ორშაფათ-ი 'понедельник'
სამშაფათ-ი 'вторник'
ოთხშაფათ-ი 'среда'
ხუთშაფათ-ი 'четверг'
პარასკევ-ი 'пятница'
შაფათ-ი 'суббота' (книжн. везде შაბათ-ი)
კვირე || კვირა 'воскресенье', неделя
კურ-ო || 'бычек' || 'телец'
კჳრიკ 'Квирик', личное имя.

თვეები:

იანვარი 'январь'
ფებერვალი (თებერვალი) 'февраль'
მარტი 'март'

აპრილი 'апрель'
მაისი 'май'
ივნისი || თიბათვე 'июнь'
ივლისი || მკათათვე || კვირკობისთვე 'июль'
აგვისტო || მარიობისთვე 'август'
სექტემბერი || ენკენისთვე || მწიფობისთვე 'сентябрь'
ოქტომბერი || ღვინობისთვე 'октябрь'
ნოემბერი || გიორგობისთვე 'ноябрь'
დეკემბერი || ქრიშობისთვე (ქრისტეს შობისთვე) 'декабрь'
აღმოსავლეთი 'восток'
დასავლეთი 'запад'
სამხრეთი 'юг' от სამხარი 'полдень', 'полдник' (собств. 'трапеза' при повороте солнца на окончательный закат).
ჩრდილოეთი || ჩრდილო 'север'

§ 3. სხვა და სხვა ერის და ნათესავების სახელები.

a) კავკასიაში —

ქართველი 'грузин'	ქართული 'грузинский'
სვანი 'сван'	სვანური
მეგრელი 'мегрел', букв. 'гурец', ჭანი 'лаз' или 'чан'	
სომეხი 'армянин'	სომხური
თათარი 'татарин'	თათრული
ლეკი 'лезгин'	ლეკური
ლეკური 'сабля', 'лезгинка', но и 'лезгинский'	
ქისტი 'ингуш'	
თუში 'тушин'	
აფხაზი 'абхаз'	
ქურთი 'курд'	

b) აზიაში —

სპარსი, სპარსელი 'перс', 'персианин'	სპარსული 'персидский'
არაბი 'араб'	არაბული
ებრაელი 'еврей'	ებრაული
ურია 'еврей', собств. 'иудей'	
ინდო, ინდოელი 'индеец'	ინდოური

ინდოური 'индейка'

ჩინი, ჩინელი 'китаец' — ჩინური

ჩინ-მაჩინეთი 'страна Чина и Мачина' (ср. 'Гог и Магог').

Не смешивать: უჩინ-მაჩინის ქუდი 'шапка-невидимка' (от ჩენა 'являть')

იაპონელი 'японец' — იაპონური 'японский'

c) ევროპაში —

რუსი 'русский' — რუსული (ენა) русский (язык)

პოლონელი 'поляк' — პოლონური

გერმანელი 'германец' — გერმანული.

§ 4. Разъяснения терминов общественного строя.

a) ხემწიფე и ხენწიფე вм. книжного ხელმწიფე 'государь'.

b) ბატონ-ი 'господин', теперь в значении фр. monsieur, некогда 'крепостник', ყმა 'раб' (первоначально ყრმა 'юноша', 'молодец', 'рыцарь'), ბატონ-ყმობა 'крепостное право', собств. отношения ყმა и ბატონ-ი.

უფალ-ი 'господь' (раньше вообще 'господин', 'хозяин', отсюда):

თავის-უფალი 'свободный', собст. 'господин свой'

ჭირის-უფალი 'пекущийся', 'родственник', собств. 'господин' или 'хозяин' 'постигшего несчастия'.

ყმაწვილი 'мальчик', 'молодой' (полнее: ყმარწვილი)

მონა 'раб'.

Никогда ბატონ-ი не употребляется в применении к богу, как 'раб' божий — მონა, не ყმა.

'Рабочий' по-грузински მუშა, то же слово, что у армян მჷშაკ (մշակ məшak), обе разновидности представляют пережиток племенного названия мосхов или мушков, некогда, за 1000 и более лет до христианской эры, господствовавших у Ванского озера (где Армения), впоследствии обратившихся в класс рабочих.

'Труд' — შრომა, ვ-შვრები (древнел. ვ-შურ-ებ-ი) 'тружусь', 'делаю' (ვ-შვ-ებ-ი || ვ-შო-ბი) от основы შურ → შუ, означавшей 'рука'.

c) თვალადობა 'прекрасная наружность' ტანადობა 'стан', 'статность' ტანადი 'стройный'
თვალადი 'прекрасный наружностью'.

d) კარგად ვერას ვერ მოავლენს კაცი აგრე გულფიცხელი (P, 645,3).

e) გაიძვერა 'пройдоха', 'пролаза'.

f) ჩვენი წარმომადგენელი ჩინებული კაცია, მარა მისმა მეზობლებმა სახელი გაუტეხეს.

g) მოწიფული 'зрелый', მოწიფული კაცია.

h) საჭირ-ბოროტო პრობლემა 'злободневная проблема'
კარგი რამ მჭირდეს, მიკვირდეს, ცუდი რა საკვირველია! (P).

§ 5. საზოგადოებრივ წყობილების ტერმინები, ნათესაობა.

დედა 'мать'
შვილი 'дитя', 'сын', მამა 'отец'
ქალიშვილი (გოგო) 'девушка'
ძე 'сын'
ბიძა 'дядя'
ბიცოლა 'тетя' (⟵ 'жена дяди')
ვაჟიშვილი (ვაჟი, ბიჭი, ყმა⌈რ⌉წვილი) 'мальчик'
დეიდა 'тетка' (⟵ 'сестра матери')
მამიდა 'тетка' (⟵ 'сестра отца')
სძალი || რძალი 'невестка', 'невеста'
სიძე 'зять', 'жених'
სიდედრი 'свекровь'
სიმამრი 'свекор' (см. I, § 61, a).
ნათლია || ბუდუა 'крестный отец'.

§ 6. Из синонимов и гомонимов.

ძალა (ძალი) || ღონე 'сила'
ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებს-ა
(др.-л. ღონე 'средство', 'ухищрение')
ხრიკი 'хитрость'
ძალ-ი 'струна'
ოთხძალი '4-х струнный инструмент'
ერთობ 'очень', ერთობ კარგია 'очень хорош'
ძალიან 'очень', 'сильно'
წვრილად 'детально'
მოახსენა 'доложил (он) ему (ей) || им'
ერთს ადგილს ჩვეულება ჰქონდათ. ამ ადგილმა ტალახი იცის.

ენა 'язык', ლაპარაკი 'разговор', მუსაიფი 'беседа'
ბაასი 'прение', 'обсуждение', 'собеседование'.

§ 7. Из групп семантических (связанных единством корня или основы значений).

а) წყალ-ი (|| წყურ) 'вода', წყარ-ო 'родник'
წყალ-ობ-ა 'милость'
მ-წყურ-ნებ-ი 'топкие' или 'болотистые места'
მ-წყურ-ი-ა 'у меня жажда'
б) მარცხენა 'левая рука'
მარცხი 'несчастие', 'неудача'
და-მარცხ-და 'он потерпел неудачу'
в) მარჯვენა 'правая рука'
მარჯვე 'ловкий'
გა-ი-მარჯვა 'он одержал победу'.

§ 8. ოთახი.

კარი გავაღე, ნიკო-მ გააღო
ოთახ-ი დავუგდე, გოგო-მ დაუგდო ოთახი
ოთახში შემოვედი, ქალბატონი შემოვიდა
ფანჯარაში გავიხედე, ბიჭმა გაიხედა ფანჯარაში
ჭერს ვუცქირე, მოსწავლე უცქერს.

იატაკი || პოლ-ი იატაკზე || პოლზე
კედელი, კედელზე მივაყუდე
დაფა ლურბ⌈ე⌉ლით გავწმინდე, ბოვშმა (ბავშმა) გაწმინდა
დაფაზე დავწერე, მასწავლებელმა დაწერა
კათედრაზე ავედი, პროფესორი ავიდა
სტოლს მოუჯექი (მოუჯედი), მოუჯდა
დანა 'нож', 'ножик'
ჯაყვა 'перочинный нож'
კარანდაში
დავდევი სტოლზე
ავიღე სტოლიდან.

§ 9. Искусство.

ხატი 'образ', 'икона', ნახატი 'рисунок', ხატავს 'рисует'.

სურათი картина

ასურათებს 'картинно изображает'

წიგნი 'книга', ხუროთმოძღვარი 'архитектор'

წერილი 'письмо', 'статья', წერა 'писать'

ხელოვნება 'искусство', ხელობა 'ремесло' ← ხელი 'рука'.

§ 10. სხეული და მისი ნაწილები ან ასოები.

ტან-ი 'тело'
თვალ-ი 'глаз'
ყურ-ი 'ухо'
ცხვირ-ი 'нос'
პირ-ი 'рот', 'лицо'
ყელ-ი 'шея', 'горло'
ხელ-ი 'рука'
ფეხ-ი 'нога'
მხარ-ი (ფხარ-ი) 'плечо'
მკლავ-ი рука (от плеча до пальцев)
ბეჭ-ი 'лопатка'
თეძო 'бедро'
ბარკალ-ი 'бедро', 'голень'
ბარძაყ-ი 'лядвея'
მუცელ-ი 'живот'
წელ-ი 'стан', 'потроха'
შუბლ-ი 'лоб'
ლოყ-ა 'щека'
ნიკაპ-ი 'подбородок'
ყბა 'челюсть'
მუხლ-ი 'колено'
წივ-ი 'голень'
ზურგ-ი 'спина'
მკერდ-ი 'грудь'
გულ-ი 'сердце'; 'грудь'

ასოების სიას კიდევ რამოდენიმე სიტყვა მოუმატოთ:

თით-ი 'палец'
ფ⌈რ⌉ჩხილ-ი 'ноготь'

მუხლის თვალ-ი (თავ-ი) 'головка колена', 'чашечка колена', 'колено'.

უწინ საქართველოში ვაჟკაცი და მოხუცებული პირს წვერულვაშით იმშვენებდა, ახლა პარსვასაც არ ერიდებიან. ულვაშის ერთი ბეწო (ბეწვი) ძველად ახლანდელი თამასუქის მეტს შობოდა (შვრებოდა, აკეთებდა), ფულს რომ ისესხებდენ ან სხვა რამე დაპირებულის ასრულებას აბეჯითებდენ.

თვალით ადამიანი ხედავს, ყურით ისმენს, ცხვირით ყნოსავს (|| იყნოსს) და პირით სჭამს. თვალს თუ სინათლე მოგვაკლდა, სათვალეს ვხმარობთ, სათვალე საჭირო იარაღია, ზოგჯერ ახალგაზდისათვისაც, ქალი იყოს თუ კაცი, არა ნაკლებ, ვიდრე (|| ვინემ) მოხუცებულისთვის, საყურე კი საკეკლუცო ნივთია. საყურეს საქართველოში მარტო ქალზე

ნახავთ. პირის სხვა და სხვა მნიშვნელობა უკვე ახსნილი გვაქვს და, იმედია, არ დაივიწყებთ.

ყელი.

ყელიდან რომ საყელო წარმოდგება ან ხელიდან სახელო, ორივე სიტყვა საყელოც რუსულად «ВОРОТНИК» ან სახელოც რუსულად «рукав» უფრო ტანსაცმელის დარგშია ახსნილი. ყელს კიდევ სხვა სახელები აქვს: კისერი რუსულად «шея»-ს ნიშნავს და ყორყა ან ხორხა რუსულად «глотка» არის (ქართულად კიდევ ყრონტი), ხარხასაც იტყვიან.

გურიაში უღელს კისერზე ღორსაც ადებენ, რომ ღობეში არ შეძვრეს და ყანა ან ბახჩა-ბოსტანი არ დააზიანოს ან არ წაახდინოს (გურულად იტყვიან «არ გააფუჭოს»). ყელსაბამიც არის და ხელსაბამიც, ხელთათმანია და ქალაბანი (↖ ქალამანი).

არ იფიქროთ ამ «ქალა-ბან» სიტყვაში დედაკაც 'ქალ'-ზე იყოს სიტყვა, «ქალ-» ფეხსაც ნიშნავდა, მაგრამ ქართულში არ იხმარება ცალკე, სომხურში კი «ქაჲლ» გამოითქმება და 'ნაბიჯ'ს იტყვის.

ფეხით კაცი იარება, ფეხზე დგას, ფეხს იცვამს და ფეხსაცმელი რუსულ «обувь»-ს იტყვის. ძველად ფეხი სამთანხმოვანს ძირს (ფრკ) წარმოადგენდა, «ფეხის» მაგიერ «ფერკ»-ს ამბობდენ და აქედან ახლაც «ფერხული» ნიშნავს 'ცეკვას' (пляска), ფერხვა — ახალწელიწადს პირველ მომლოცველის ეზოში შემოსვლას. უმისოთ არა მოხდება რა. თუ კაცი დაეცა, საშიშია, თეძო არ ამოიგდოს ან მუხლის თვალი არ ივნოს. ფეხისთვის იტყვიან იღრძო — ფეხი იღრძო. ფეხი გაუსლიანდება კაცს და უხერხულად დაეცემა.

ზურგზე მუშა კაცი გოდორს მოიკიდებს ან უგოდროთ ჭვირთს ზიდავს, მხარზე ქალიშვილი კოკას დაიდგამს და ისე მოიტანს წყაროდან ცივ წყალს ანკარას, მკლავი და მკერდი კაცის სიმძლავრის დამახასიათებელია, ბეჭი კი, რასაკვირველია, ზროხისა — სადათ მოხარშავენ ხოლმე — განსაკუთრებითი საყვარულო საჭამადია, ქართულ ღხინში აუცილებელი საგანი, გურიაში საწებლათ ბეჭზე მძალე-ძმარს ხმარობენ.

§ 11. გასრული ლექციის-გან რა გახსოვსთ (|| გახსოვთ), რა დაისწავლეთ?

1) წვერ ულვაშის შესახებ?

2) ყელსაბამის და ხელსაბამის შესახებ?

3) თვალ-ყურ-ცხვირ-პირის და სათვალის ან საყურის შესახებ?

4) ყელი და ხელის და მათ შესამოსის ან მოსაკაზმავის შესახებ? ქალამანი ↗ ქალაბანი (ჩაურთოთ, ნახე ზერელე || ზემორე || ზევით § 10).

5) ფეხის და თეძოს შესახებ?

6) ზურგის და ბეჭის ამბავი მითხარით. თვალ-ყური უგდე 'будь внимателен к нему' (букв. «бросай на него глаза и уши»).

7) იქნება თქვენ მოუმატოთ ასოების (სხეულის ასოების) სიას.

§ 12. შინაური ცხოველები.

ზროხა ↗ ძროხა 'корова'
ხარი 'бык'
ცხვარი 'овца'
თხა 'козел'
ძაღლი 'собака'
კატა 'кот', 'кошка'
ცხენი 'лошадь'
რაში 'пегас', сказочная лошадь
ჭაკი ცხენი 'кобыла'
მერანი 'мерин'
ჯორი 'мул', 'катер'
ვირი 'осел'
ქათამი 'курица'
წიწილი || ჭუჭული 'цыпленок', 'птенец'
ბატი 'гусь'
იხვი (|| კვატა) 'утка'
ინდოური 'индейка'
რძე (др.-л. სძე) 'молоко'
მოწველა 'подоил'
ერბო 'масло'
გააკეთა 'сделал'
მაწონი 'кислое молоко'
ნადუღი
ყველი ამოქნა 'сыр он сделал'
პური გამოაცხო 'он испек хлеб'
ხაჭაპური მოამზადა 'он приготовил сырник'.

I. ძროხას ვინ წველის? დედა ჩემი, მაგრამ დღეს მე მოვწველე.

ზროხა იწველება და მონაწველ რძისაგან ყველს ამოქნიან და ერბოსაც გააკეთებენ. ხარი უფრო ყანაში მოსახმარია ხვნაში გუთნის გასაწევათ; ზემო საქართველოში რვა უღლამდი გაუბმენ ერთ გუთანს და მეტსაც. სულ არარაობას ცალი უღელი (ზოგჯერ იტყვიან, ცხრა უღელი) ხარი საჯობიაო. ურმისათვის ხარი არის საჭირო, ძველათ ხარი აგრეთვე სამსხვერპლო ცხოველი იყო, ახლა უფრო ცხვარს სწირავენ, ცხოველების შეწირვა, განსაკუთრებით ცხვრისა, დღევანდელ დღემდი არ გადავარდნილა, ჩვეულებათ არი დარჩენილი დღესასწაულებზე, ან თუ ვისმე ავათმყოფი ყავს და ექიმი ვერ შველის, მეტადრე სოფლათ,

სამღთოს აწირვებიენ ხუცესს (|| მღვდელს) მის სახელზე, აგრეთვე მიცვალებულის ქელეხზე ან აღაპზე.

II. ცხვარი ხორცათ ვარგა და საწველათაც, მის რძისაგან საუკეთესო მაწონი მზადდება. თხა ადვილი მოსავლელია, თავის საზრდოს კლდეზეც (ხშირათ გაიგონებთ «კდეზეც», თვით «კტეზეც») პოულობს, ხორცი გემრიელათ ვერ ითქმის, მაგრამ რძე ძალიან მარგებელია.

III. ყველი გაქვს?

— რა ყველი გნებავთ? გადაზელილი (|| სურგუნი) თუ სადა, თუშური?

— გირვანქა თუშური რა ღირს?

— ორი აბაზი ღირდა ომიანობის წინ, ახლა თქვენ ინებეთ ფასის გამოანგარიშება.

— გირვანქა ნახევარი მომიწონეთ[1].

— უკაცრავათ, დუქანში მთლად ნახევარი გირვანქაა.

IV. ძაღლი სანადირო იქნება, როგორც მეძებარი (ищейка), მწევარი (гончая) და მცველი ეზოის ან ჯოგის. ცხოველების სახელები ხშირათ შეგხვდებათ სხვა და სხვა ბალახის სახელში, ძაღლის სახელი ათიოდე ბალახის დასახელებაში იხმარება, მაგალითათ ძაღლის ქინძა 'римская ромашка' (букв.: 'кишнец (ქინძ-ი) собаки'). თუ კაცი ბედნიერია, იტყვიან, ძაღლი არ დაჰყეფს მის ბედსაო. გაჭირვებით თუ ვინმე ცხოვრობს და მოსვენებას არ აძლევენ სხვა და სხვა მინდობილებით, გაძაღლებული სიცოცხლე მაქვსო, იტყვის.

V. ვირი მეჭვირთეა, თფილისში ვირით ნახშირი დააქვთ ქუჩებში გასაყიდათ. ქართული ანდაზებისგან ერთი ვირზეც ვთქვათ: ვირმა იხივლა, მუტრუკი გავზარდე, მაგრამ (მარა) ჩემი კურტანი ზურგიდამ (ზურგიდან) არ მომცილდაო. ჯიუტობას ქართველები ვირს არ აწამებენ. უფრო ჯორს: თუ ვინ გაჯიუტდა, იტყვიან «ჯორზე შეჯდაო».

VI. ბაზარში —

— ძმობილო, ქათამი რა ღირს?

— ხუთი მანეთი, შენ გენაცვალე.

— შე, დალოცვილო, ინდოური ხომ არ არი, რომ ასე ძვირათ აფასებთ.

---

[1] От მოწონა 'взвешивать', также (но не здесь) от მოწონება 'одобрить'.

— ინდოურზე უკეთესია გემოით, საგანგებოთ გასუქებული, გურიიდან მოტანილი სიმინდით არის ნაზურები, ჭუჭული (|| წიწილი) არ გახლავს, დედალია, მოსრულობით ინდოურს დიდათ არ ჩამორჩება, მსუქანი ბატის ხორცი აქვს და იხვის (კვატას) სინაზე.

§ 13. გარეული ცხოველები, ზოგი ნადირი, ფრინველი და ბუზეულობა.

ძლოკვი 'уж'
გველი 'змея'
მგელი 'волк'
მელა || მელია 'лиса'
ტურა 'шакал'
დათვი 'медведь'
ყურდღელი 'заяц'
აქლემი 'верблюд'
ჩიტი || ფრინველი 'птица'
გვრიტი 'горлица'
მერცხალი 'ласточка'
ბულბული || იადონი 'соловей'
წერო 'аист'
მტრედი 'голубь'
ყვავი 'ворона'
ყორანი 'ворон'
ვეფხი (|| ვეფხვი) 'барс'
ლომი 'лев'
შველი 'лань', 'дикая коза'
ირემი 'олень'
სპილო 'слон'
ტყის ქათამი 'куропатка'
მწყერი 'перепелка'
ხოხობი 'фазан'
მიმინო 'ястреб'
შევარდენი (შავარდენი) 'сокол'
ქორი 'коршун'
ორბი || არწივი 'орел'
კოღონა || კოღო 'комар'
მკალი || კალია 'стрекоза', 'саранча'
მ-წერი 'муха', 'насекомое'
ბუზი 'муха'

I. გველის გესლი მარტო ერთ კაცს დაშხამავს და კაცის ენა მთელ საზოგადოებას. ენა ზოგჯერ კარგსაც იტყვის, მაგრამ კაი (კარგის) მთქმელს კაი (კარგი) გამგონე უნდა.

«გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი» (Р 931,4). «მგელს მგელობა შეერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდო». მელა-ტურა ან მელია კაციც იქნება, ასეთი სიტყვით გაიძვერას ახასიათებენ ხოლმე. «დათვმა კბენა არ იცოდა, კაცმა კბენა ასწავლაო».

II. პოეტი ჩახრუხაძე თამარ მეფეს შემდეგი ოთხტაეპიანი ხანით მიმართავს ხოლმე თავის ერთ შესხმაში:

«კაცები გმონებს
და გიპატრონებს,
ვეფხთა კლდოვანი,
ლომთა შამბნარი».

სახარებაშია თქმული: «იყვენით (ესე იგი იყავით) თქვენ მეცნიერ ვითარცა (ე. ი. როგორც) გუელნი და უცოდველ ვითარცა ტრედნი». «ჩიტი სადაც გაიზდება, მისი ბაღდადი ის არის»-ო.

შოთა (შოთა რუსთველი) იტყვის (1199,4):

«მართლა თქმულა: არა მართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი».

III. ბავშობისას მახსოვს მწყერზე და ხოხობზე ნადირობა. მწყერის დასაჭერათ მიმინოს დაიჭერდენ და სწვრთნიდენ. მიმინოს დასაჭერათ ხოლმე ღაყოს ან ბეღურას დაიჭერდენ სხაპში. ეგ ხდებოდა დაახლოვებით ივანობისთვეში (თიბათვეში). ამ პატარა ჩიტებს, ერთ და ერთს, თავისუფალ ფრენას ასწავლიდენ, გრძელ ძაფით დააბამდენ || დააბმიდენ რა ჯოხზე, ღაყოს მონადირე აპურებდა კალიით || მკალით და ბეღურას უფრო ღომის თაველით. რომ საკმაოთ გაწვრთნიდა ჩიტუნიას, მონადირე თან დიდ გასაშალ ბადეს წაიღებდა. ორს დიდს, კუთხეთ აგრე[1] ერთმანერთზე მიდებულ ჭოკზე გაკრულ ბადეს, და თან ოსტატურათ ფრენაზე მიჩვეულ ღაყოს ან ბეღურას, ჯოხზე დაბმულს, და მიმართავდა || მიმართვიდა რამე ტიალ ადგილს, უფრო მთა ადგილას სერზე. იქ ხის რტოებისგან || შტოებისგან ხელათ საფარს გაიკეთებდა მონადირე, რომ მიმინოს კაცის სხეული არ დაენახა, და გამოჩდებოდა თუ არა მიმინო, გაშლიდა საჩიტე ბადეს და ჯოხზე აათამაშებდა ოსტატურათ მფრინავ ბეღურას ან ღაყოს: მიმინო მოჭკრავდა რა თვალს, რამდენჯერმე თავზე მოუარდა და უცებ იერიშს მოიტანდა შემფრინავ ჩიტუნიაზე, დაეცემოდა თავზე. მონადირეც ხომ ამას უცდიდა. თავის დროზე გაწვრთნილ ჩიტს ჯოხიანათ || ჯოხითურთ განზე გააგდებდა და ჩამოვარდნილ მიმინოს გაშლილ ბადეში მოიმწყვდევდა რა, დაიჭერდა. მერმე დაიწყებოდა მისი, მიმინოის, პურადება, ღამის-თევაც და წვრთნაც, მარიობისთვეში მწყერის ათობით და ასობით ჭერა. აგრევე დაიხელებდენ ხოლმე ქორს ან შავარდენს ხოხობის დასაჭერათ. კარგ მონადირე ფრინველათ რომ გამოდგებოდა, მიმინო იქნებოდა თუ ქორი ან შავარდენი, ზამთარში ძარში ჩასმიდენ, მოზრ-

[1] მასწავლებელი ხელით აჩვენებს.

დილ ოთახის ოდენა წკნელით მოლობილ ძარში, და მომავალ წლამდი ||გაისამდი უვლიდენ, რომ ხელახლავე ენადირათ. ასეთ შარშანდელ მონადირე ჩიტს კაპოეტს ეძახდენ.

ძველათ სანადიროთ რომ წავიდოდენ მეფეები, ლაშქრობას წაჰგავდა, ურიცხვი ქორი და ძაღლი მიყავდათ. შოთა იტყვის ერთ მეფის განადირების მოხსენებაში:

«მზესა ქორნი აბნელებდეს[1], ძაღლთა სრბოლა[2] მიდა, მოდა»[3] (703,3).

§ 14. Детеныши животных.

ცხოველების შვილებს სხვა და სხვა სახელი აქვს, ზროხისას ხბო (მრავლობითი რიცხვი ხბოები ან ხვორები), ცხვრისას ბატკანი, თხისას — თიკანი, ცხენისას კვიცი, ძაღლისას ლეკვი. ლეკვი ლომის შვილზედაც ითქმება — შოთა იტყვის:

«ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია».

დათვის შვილზე უკვე მოგახსენე.

უშვილო ჯორს საცხენოსნოთ ჩვეულებრივ ბერები ხმარობენ და მათი მიბაძვით მღვდლებიც.

§ 15. თევზეულობა.

გასრულ ლექციაზე ორი ჯგუფი სიტყვები მოგახსენეთ, ერთი შინაური და ერთიც გარეული ცხოველების სახელები ჩემი შედგენილი მუსაიფით, სხვათა შორის მწყერზე და ხოხობზე ფრინველით ნადირობის ამბავი ჩაურთე მოკლეთ. მომავალ ლექციისთვის მიწა და მაღნეულობის ზოგს სახელს მოგაწოდებთ და მათ შესახებ მუსაიფის ნიმუშები თქვენ შემიდგინეთ, ვისაც რა ან როგორ შეეძლება||როგორც ვინ მოახერხებს.

დღეს კი სახელდახელო ლექსიკონიდან რაც წასრულ ლექციაზე ვერ მოვასწარი, სახელდობრ თევზეულობის შესახებ, მას დავასრულებ ||დავამთავრებ.

თევზი (თებზი) 'рыба'
კიბორჩხალი ან კიბო 'рак'
კალმახა 'форель'
ლოქო 'сом'
ლლავი 'сом'
ორაგული 'лососина'
ლოში 'тёшка'
წვერა 'усач' (рыба)
ლორჯო 'головастик'.
ქაშაპი вид рыбы
ვეშაპი 'дракон', 'чудовище',
ძველათ აგიც დიდი თევზი 'кит'.

[1] აბნელებდენ. [2] სირბილი. [3] იქით, აქეთ.

დუქანში.

— თევზეულობისგან რა გაქვთ?

— კალმახი, ლოქო, ორაგული და დოში.

— დოში დომზეა კარგი საჭმელიო, ერთი ნაცნობი ქართველისგან გამიგონია. დოში იშოვება?

— არა, პატიოსანო, ჩვენ დუქანში მარტო თევზეულობა გახლავს, ხან კიბორჩხალასაც ვაჭრობთ, მუდამ ხიზილალას, დოშს კი ქალაქში (თფილის ქალაქში) საყიდლათ ვერ იშოვით, ის გურული საჭამადია.

— მაშ, ორი გირვანქა კალმახი მომიჭარით.

— გეტყობათ, უცხო ბძანდებით, კალმახი გირვანქობით ვერ მოიჭრება, კალმახი მთელ-მთელათ იყიდება.

— კეთილი, ერთი თავი, ორიც იყოს, მიბოძეთ.

«ყოველს ხორცსა კალმახი სჯობს, კალმახსაც დუმის წვენი».

§ 16. მიწა, ქვა და მადნეულობა.

ამ საგნებზე და ზოგ დარჩენილ ცხოველებზე მუსაიფის ნიმუშები თქვენ გამოთქვით ქართულათ და შემდეგ ლექციაზე საამბობლათ მომიმზადეთ!

ბოლოს მადნეულობის შემდეგ.

მიწა 'земля' (ср. § 2: მი-წა)	ტყვია 'свинец', 'пуля'
თიხა 'глина'	კალა 'олово'
ქვა 'камень'	თანაქი 'цинк'
კლდე 'скала'	მჭედელი 'кузнец'
კაჟი 'кремень'	ოქრომჭედელი 'золотых дел мастер'
მადნეულობა 'руда'	შანთი 'раскаленное железо'
სპილენძი 'медь' (красная)	მარწუხი 'клещи'
თუთთვერი ~ თითთვერი 'медь' (латунь)	ჯაჭვი 'цепь'
რკინა ⟶ კინა 'железо'	ძეწკვი 'цепочка'
ოქრო 'золото'	კვესი 'огниво'
ვერცხლი 'серебро'	აბედი 'трут'.

§ 17. გასრული ლექციისგან რა გახსოვსთ ‖ გახსოვთ, რა დაისწავლეთ?

1) ზროხის და ხარის შესახებ (§ 12, I), 2) ცხვრის შესახებ და თხის § 12, II), 3) ყველისთვის (§ 12, III), 4) ძაღლის ამბავი (§ 12, IV),

5) ვირის შესახებ და ქათმის შევაჭრებაზე ბასი (§ 12, V—VI), 6) ცხოველების შვილთ სახელები (§ 14), 7) თევზების შესახებ (§ 15).

§ 18. Хлебные злаки.

იფქლი (პური, ხორბალი) 'пшеничная мука'

ქერი 'ячмень'
ჭვავი 'рожь'
ბრინჯი 'рис'
სიმინდი 'кукуруза'
ღომი 'просо' («ǵом-и»)
კარტოფილი 'картофель'.

§ 19. Зелень огородная (წვანილი), стручки.

ბადრიჯანი ← პატრიჯანი 'баклажаны'
ბოლოკი 'репа', 'редька'; თვის (от თვე) ბოლოკი 'редиска'
გოგრა || კვახი || ხაპი 'тыква'
დარიჩინი 'корица'
დოგვი 'горчица'
ზაფრანა 'шафран'
კამა 'укроп'
მაკიდო 'петрушка'
კიტრი (|| კინტრი) 'огурец'
კომბოსტო 'капуста'
ლახანა особый вид капусты
ლობიო 'фасоль'
ცერცვი 'бобы'
ოქროსცერცვი 'горох'.

§ 20. Деревья и растения.

ხეების სახელები და ზედ მცენარეებისაც.
ტყე 'лес'
-ნარ в составных словах —
მუხნარი 'дубрава'
ვაშ⌈ლ⌉ნარი 'роща из яблонь' и т. п.
ხე 'дерево'
ძირი 'корень'; 'низ'
რტო || книжн. შტო; диал. ბოლი — 'ветвь'
ფურცელი, ფოთოლი || ფორთოლი[1] 'лист'
წვერი; диал. კატარი — 'вершина дерева'
ძნა 'сноп'

[1] Только 'лист дерева', но ფურცელი также 'лист бумаги'.

ხილეულობა (фруктовые деревья)
ბია || კომში 'айва'
ბროწეული 'гранат'
ალუჩა 'лыча'
ატამი 'персик'
ყურძენი 'виноград'
ვაზი 'виноградная лоза'
თუთა || ბჟოლა 'тута'
ვაშლი 'яблоко'
სხალი 'груша'
წაბლი 'каштан'
ზეთისხილი 'маслина'
სხმარტლი 'башмала'
ქლიავი 'слива'
ფორთოხალი 'апельсин'
ნიგოზი 'орех'
თხილი 'мелкий орех'
ნიგვზის ხე 'ореховое дерево'
გუნდა 'дуб чернильно-ореховый'
მუხა 'дуб'
დაფნა 'лавровое дерево'
წიფელა 'бук'
თხმელა || თხემლა 'ольха'
ბარდი 'чилига'
ეკალი 'терновник'
თამბაქო || თუთუნი 'табак'
იონჯა 'люцерна'
კოლინდარი 'райграс английский'
ყვავილები 'цветы'
ვარდი 'роза'
ყაყაჩო 'мак'
სუმბული 'гиацинт'
ნარგიზი 'нарцис'.
ქამენია || გვირილა 'ромашка'

სხვა და სხვა სიტყვები და გამოთქმანიცა უმთავრესი სიტყვიდან დაწყებული სულ უბრალომდი (მარტივამდი).

§ 21. უმთავრესი სიტყვა ყველა ენაზე ყოფილა 'ხელი', ეგ მუშა კაცის, მთელი კაცობრიობის, როგორც ნივთიერი, ისე სულიერი ქონების შემომქმედი წევრი სხეულისა. ხელი პირველი იარაღი იყო კაცობრივი შრომის და კაცობრივი მსჯელობის, თვით ენის მაგიერობას შობოდა ის, ვიდრე ადამიანი, ჯოგ-ურდოებიდან გამოსრული, მასიური საზოგადოებრივი მოწყობით და ეკონომიური წარმატებით გარკვეულ ხმას ამოიღებდა და იმ ხანებისათვის მოულოდნელ საკვირველებას, ბგეროვან || მბგერ ენას, ახლა ერთად ერთს ჩვეულებრივ ენას შეიქმნიდა. «ხელ-ი», ქართული ნათესაობის ენიდან სახით «ხერ-ი» ბერძნულშიც გადასულა (ბერძნ. «ხეჲრ» χείρ), ქართულშიც შენახულა ამავე ნამდვილი სახის («ხერი») გამოთქმის უფრო ძველ საფეხურზე — «ღერი», მნიშვნელობით — 'ერთეული', 'штука' და სხვა, რადგან 'ხელის' მცნებიდან ნაწარმოებია სხვა და სხვა რიცხვის, მათ შორის ერთისაც გამომთქმელი სიტყვა. «ერთ-ი» 'один' სი-

ტყვის ფუძეც «ერ» (←*«ჴერ»||«ყერ» ან «ურ-», შდ. ძველ სამწერლო «ურ+თ-ი-ერ+თ-ას» 'один одного' → 'друг друга') იმავე სიტყვის პირვანდელ სახეს წარმოადგენს, დასაწყისი თანხმოვანის (ყ → ღ → ხ) უმდაბლეს საფეხურზე (ჴ) დაშვებით და შემდეგი გაუქმებით. მდაბიო ენით ზოგ ადგილას «ერ-ი» ნიშნავს 'ერთს' («ერი კაცი» 'один человек'), მაშასადამე 'ხელ'იც უნდა ენიშნა — და დასტურაც, თვით ძველსამწერლო ენით «ერ» ეტყოდენ 'ხელს', როგორც ცხადათ გვიჩვენებს თქმა «მი-ერ» 'через', ფრანგ. par, ლათ. a გინდა ab, ბერძნ. διά, სომხ. «ი ძერ-ჷნ» სიტყვა-სიტყვით 'მის (|| მათ) ხელით'. აგეთივე თუ მსგავსი წარმოვება აქვს მის ბადალ ინდოევროპულ ნაწილაკებს: ავიღოთ, ვთქვათ, რუს. «через», იაფეტურ ენების პალეონტოლოგიური დახსნით ეგ რუსული სიტყვა ისტორიაზე წინდასწრებულ ხანეში ესმოდათ როგორც ნათესაობითი (-სი → -ის || -შე) ან მიცემითი (-სა || -შო) ბრუნვისგან წარმომდგარი მოქმედებითი ბრუნვის სახით შემოსილი (-z, შეადარე ბასკური -s, ბასკებში მიღებული ანბანით — «-z») სიტყვა «ჩერ+ე» 'ხელი' (შეად. ქართ. «ჯერ» 'ხელ' თქმაში «ერთჯერ» = «ერთხელ», ქართ. «აჩერა» 'задержал', პირველში 'ხელით დააკავა', სომხ. «ძერ-ქ», ძველ. «ძერ-ჷნ» 'ხელი' და სხვა)[1].

მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პალეონტოლოგიურათ ყოველი ნაწილი ღებულობს მის მთლიან ერთეულის სახელს, 'ხელი' ნაწილია სხეულის ან, როგორც ძველათ იტყოდენ, გვამის (ძველებური მართლწერით გუამის), «გვამი» კი ძველათ ნიშნავდა მას, რაც რუსულათ გამოითქმება სამი სიტყვით: 'тело', 'особа', 'лице' ('личность)'. მაშასადამე 'ხელს' თავდაპირველში სხეულის ან გვამის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და ეს გარემოება კიდევაც ცხადდება, ოღონდ რთული დასაბუთება სჭირია და ჩვენ შორს წაგვიყვანს, მოსწავლეს ნამეტარ გაუძნელდება შეთვისება. სომხურში უფრო მკაფიოთ მოჩანს სხეულის ან გვამის და ხელის აგეთი მჭიდრო ნათესაობა, საზოგადო ცნების 'სხეული' ან 'გუამი' გამომთქმელი სიტყვიდან 'ხელი' ცნების გამომთქმელი სიტყვის წარმოშობა. ასე მაგალითათ — სომხ. «ანძ-ჷნ» (←*ჴანძ-ჷნ) ნიშნავს 'გუამს', 'სხეულს' და 'სულს', განურჩევლათ, მასთანავე 'особа-ს', 'პიროვნებას' და სხვას, და იგივე სიტყვა ნიშნავდა სხეულის ნაწევრს, მრთლიან ერთეულიდან გადატანილი

[1] იხილე ქვემორე, გვ. 84.

იყო მის ნაწილზე—'ხელზე', როგორც გვიჩვენებს ზმა «ჭ-ანძ + ნ-ელ» (← «ჲ-ანძ + ნელ») 'передавать', 'в-руч-ать', ესე იგი ფუძე ანძ(← ჭანძ-) ნიშნავდა მასვე, რასაც გერმ. Hand 'ხელი', რომელიც მოდის «*ჭანჯ» სახის მეშვეობით პირველ სახიდან «ჭარ»↙ «კარ» (შეად. სომხ. «კარ» 'ძალი' და სხვა). თუ თქმულს ცოტაოდნათ მიმიხვდით, დანარჩენი, უფრო ძნელი შესათვისებლათ, გაგიადვილდებათ. გამოდის აგრე, რომ 'ხელზე' რომ ვმუსაიფობთ, პალეონტოლოგიურათ მთელი 'სხეული' ან 'გვამი', მთელი 'პიროვნება', მაშასადამე 'კაცი' მთლიანათ იგულისხმება. და ეს კი მოასწავებს მას, რომ იმავე სიტყვას ადამიანის, ცხადია, მიკროკოსმის მანიშნს კოსმიური მნიშვნელობაც შეეძლება. რა გზითაც ან რა მსჯელობის ხვლითაც იყოს მთელი 'მსოფლიოს', მის გამომხატველ 'ჩარხის' ან 'ზეცის' მანიშნი სიტყვაც უნდა იყოს. აქაც მსოფლიო მთლიანერთეულ ცნებაზე მის ნაწილაკ კაცზე გადმოდებული, როდესაც კაცმა თავის პირადობა, ურდოსგან ნათესავურ საზოგადოებრივ ერთეულობისგანაც გამოყოფილ ინდივიდუუმათ თავის თავი შეიმეცნა. მანამდი ხომ თვით ქართული სიტყვა «კაც-ი» 'человек' ნიშნავდა მთელ ნათესავს, «კას + პ»ად ან «კას + ხ»ად, სამვალ საუკუნოებში «ხაზ + არ»ად, ახლა «კა + ხ»ად წოდებულ ნათესავს.

ახლა იქნება, არ გაიკვირვოთ, რომ თვით სიტყვა «ღმერთ-ი», ჩვეულებრივ 'ზეცის' მანიშნი, ძველთა ძველ ეპოქებიდან მნათობების მაღალ გვლიშამოში გადატანილი, ისევ კაცის ხელნაქნარი გახლავს და მაგალითათ, ქართულის მონათესავე სვანური ენის თქმა «ღერმეთ», რომელიც აგრეთვე 'ღმერთს' ნიშნავს, წარმოადგენს რთულ ტერმინს, ორი სიტყვიდან «ღერ» და «მეთ», და თითო მათგანი თავდაპირველათ ან 'ზეცის' ან ტოტემურათ ცხოველის, სახელდობრ 'ღორის' მნიშვნელობის მიღებამდი 'ხელს' იტყოდა: პირველი ამ ორ სიტყვებისგან, ესე იგი «ღერ»↘«ერ» იგივე ქართული «ღერ-ი», «ერ-ი» გახლავს, რომელიც უწინ 'ხელს' ნიშნავდა, როგორც მისი კიდევ გამოთქმის უფრო ძველ საფეხურზე დარჩენილი სვანებში «ყერ» (ახლა სვანურათ «ყერ» 'წმინდან'საც, 'ღვთაება'საც ნიშნავს და ტოტემურათ წარმოებულ სიტყვების დარგში 'ღორ'საც), ერთ დროს კი არა თუ 'ხელ'ს ნიშნავდა და მასთანავე 'ერთსაც', 'კაცსაც', მთელ 'კაცის ნათესავს', ქართულათ 'ერ'-ს, ამიტომ 'კაცის', ესე იგი 'ერის' ერთეულზე იტყვიან 'კაცისშვილი'.

სიტყვა 'ხელ'-იდან, რასაც თავდაპირველში ნიშნავდა ასეთი ფუძეები, როგორც «ჭერ-» → «ჯერ» → «ჩერ-» (შეად. სომხ. «ძერ-» **ձեռք, ձեռն**), «ბარ-», «კავ-» და ბევრი სხვა, ერთ დროს წარმოებულან ზმები — «ვ-ი-ჭერ» 'держу', 'ловлю', «ვ-ა-ჩერ-ებ» 'задерживаю', 'останавливаю', «ჯერ» 'раз', '-жды' («ერთჯერ» → ხალხურათ «ერთჯელ», როგორც «ერთხელ»), «ვ-ა-ბარ-ებ» 'поручаю ему', 'вручаю ему', ვ-ა-კავ-ებ 'задерживаю'; ვ-ს-ძლ-ევ 'одолеваю' იმავე «ძალ-ი», «ხელი» სიტყვიდან მოდის, მაგრამ შემდეგი ხანის, ახლა ჩვეულებრივი მნიშვნელობით 'сила', «ღონ-ე»ც თავ და პირველში 'ხელ'ს ნიშნავდა, მიტომაც იგი ახლა იხმარება 'ძალის' მნიშვნელობით, ძველათ კი დახელოვნებულის 'ხრიკს', 'ხერხს', 'საშვალებას' ('средство') იტყოდა, აქიდან ახლანდელ ქართულშიც 'ღონისძიება'.

ამ გვარათ თვით სიტყვა «ხელი» 'рука' ბევრს რასმე||რამეს ნიშნავს, მაგალითათ 'უფლებას': იტყვიან «რა ხელი (право) გაქვს?», «დაიხელა» 'он овладел им', «სატევარის ხელი» 'рукоять кинжала', ხელდახელ 'из рук в руки', 'на спешную руку', აგრეთვე «კარ» 'ხელს' მიემხრობა ქართული «ვ-ე-კარ-ებ-ი», ესე იგი 'ვ-ე-ხ-ებ-ი' (← 'ვ-ე-ხლ-ებ-ი') 'прикасаюсь к нему', როგორც «კარ» («||კალ») სიტყვის მეორე სახე, ჩუვაშხაზარულ კანონისებრი ბგერათცვლილების პირობაზე წარმომდგარი «კას» იმავე 'ხელის' მნიშვნელობით რუსულ ზმის «касаться» ფუძე გახლავს და სხვა.

პირიქით, ბევრი სიტყვა ახლა მარტო (ძვ.-მწ.: მხოლოდ) ერთი რამ გარკვეული მნიშვნელობის მქონი თავდაპირველში ადამიანის 'ხელს' ნიშნავდა, უწინ ხომ მის მთლიან ერთეულს 'გვამს', 'სხეულს'.

§ 22. საბჭოთა წესწყობილების ზოგი ტერმინი და გლეხის ზოგი საოჯახო და ზოგი საანდაზო სიტყვა.

კავშირი 'союз'
საბჭოთა კავშირი 'союз советов'
დაწესებულება 'учреждение'
მსხვილი ბურჟუაზია 'крупная буржуазия'
მუშა 'рабочий'
გლეხი 'крестьянин'
გლეხობა 'крестьянство'
ძალადობა 'насилие'

ქოხი 'изба'
ფაცხა 'плетеная сакля'
სახლი 'дом', 'сакля' (без печки, окон и пола)
ოდა 'дом' (с печкою, окнами, на высоком фундаменте)
ჯარგვალი 'сруб'
კარავი 'хижина' 'палатка', 'шатер'
ძალი 'канун', უქმის ძალი 'канун праздника', კვირის (‖ კვი-რას) ძალი 'канун воскресенья'
საგძალი (← საგზალი) 'дорожная провизия'
ლუკმა 'кусок'
კიტრი 'огурец'
ნესვი 'дыня'
ავი მუშა კვირას (←- კვირაის —→ კვირის) ძალს გახალისდება.
ბაღდადს ვირი კიტრად იყიდება, მაგრამ (მარა) იქ წასვლა-მო-სვლა ღირს ერთი ჯორით მისის საგძლით ‖ საგზლით.
ახალ კიტრს ‖ კინტრს და ახალ ამბავს ძვირათ ნუ იყიდი, მალე გაიაფდება.
ორი ნესვი ერთი (ხალხ. ერი) ხელით არ დაიჭირება.

§ 23. სახელთაგან ზოგი ტანსაცმელის, ზოგი სხეულის, ზოგი ოჯახის და საზოგადოებრივი განწყობილების აღმნიშნი სიტყვები და გამოთქმანი.

ქუდი 'шапка'
ბოხოხი 'барашковая шапка'
ყაბალახი ‖ ჩაბალახი 'башлык'
ქალამანი ↗ ქალაბანი 'лапти'
წუღა 'чусти'
ჩექმა 'сапоги'
საყურე 'серьга'
სათვალე 'очки'
ასო 'часть тела'; 'буква'
ნაწილი 'часть'
წევრი 'член'
ნაწევრი 'член тела'

ჩხირი ‘палочка’
პალო ‘клин’
სარი ‘кол’
მესერი ‘частокол’
ღობერი → ღობე ‘плетень’, ‘забор’
განვითარება ‘развитие’
ეკონომიური განვითარება
განზრახვა ‘намерение’
ვარამი ‘хлопоты’, ‘забота’
ზრუნვა ‘забота’
უზრუნველი ‘беспечный’
უზრუნველ ყო ‘он обеспечил’
გათავისუფლება ‘освобождение’
იმედი || книжн. სასოება ‘надежда’, ‘упование’
სასოწარკვეთილება ‘отчаяние’
ალღო ‘чутье’, ‘инстинкт’
ალღო აიღო ‘он почуял’
ნივთი ‘материя’, ‘имущество’, ‘багаж’
ბარგი ‘багаж’, ‘поклажа’
ჭვირთი → ტვირთი ‘ноша’, ‘вьюк’
მარცვალი ‘ягода’, ‘зерно’, ‘слог’
დედანი ‘подлинник’ (текста)
კოპიო || ასლი ‘копия’, ‘список’
სათაური ‘заглавие’
ერი ‘народ’, ‘нация’
ჯარი ‘войско’, ‘толпа’
მიჯრა ‘толпиться’
ცა ქუდათ არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნათ (ქალამანათ)
შორის ‘между’, ‘среди’
რესპუბლიკებ⌈ს⌉ შორის ‘среди республик’
ისედაც ‘и без того’, букв. ‘и так (ისედ-ა) даже (-ც)’
ვინიცობაა ‘кто знает’, ‘может быть’
კბილი ‘зуб’, უ-კბინ-ა ‘он укусил его’
ჩემი კბილა ‘мой сверстник’

საშვალება 'средство'

საშვალება არ აქვს 'нет выхода', 'не справиться с ним', 'не унимается'

შეშველობა 'посредничество'

პატარობა 'детство' (პატარა 'маленький'), პატარობისას 'в детстве', 'в дни (-ს) детства (პატარობის)'

გლეხობა 'крестьянство'

სილა 'оплеуха'

სილა 'песок'

ბოლოს 'наконец'

დასასრულ 'наконец'

მძიმე 'тяжелый'

მძიმეთ არის 'она беременна'

მჩატე 'легкий (на вес)'

ადვილი 'легкий', 'нетрудный'

ძნელი 'трудный'

ხშირი 'частый'

მეჩხერი 'редкий'

უძლური 'немощный', 'больной'

სუსტი 'слабый', 'недомогающий'

წყალმანკი || წყალმაკი 'страдающий водянкой'

დაზარალებული 'понесший урон (ზარალი)'

დალაგებით 'обстоятельно'

ზედმეტი 'излишек'

მუდამ 'всегда'

მუდმივი 'всегдашний, постоянный'

ყოველთვის 'всегда'

ყოველ დღიური 'ежедневный', ყოვ. დღ. გაზეთი 'еж-ная газета'

ნამეტარ || ნამეტნავ 'чрезмерно'

ბევრი 'много'

მრავალი 'много'

ხნიერი 'пожилой'

მრავალ ჟამიერ 'многая лета', букв. 'многолетен (да будет)!'

Это — слова застольного пения по провозглашении тоста,

за которым, после ответа того, за здоровье которого выпили, поют ‘მადლობელი ვარ’ (см. II, § 15).

§ 24. ზმათაგან სხვა და სხვა დარგის სიტყვები.

როგორ მიუდგეთ გლეხს ‘как подойти нам к крестьянину’

ამ საქმეს ჩავებმები ‘возьмусь за это дело’, букв. ‘впрягусь в это дело’

დაიბინავა ‘он нашел пристанище, квартиру’ (ბინა)

დააბეჩავა ‘он обездолил его’

ამწვავებდა ‘он обострял то’

დაათვალიერებს ‘осмотрит то’, ‘произведет смотр ему’

გაითვალისწინებს ‘представит его || то себе’

მის ჯავრს ამოვიყრი ‘отомщу ему’

განაგრძობს ‘продолжает (продолжит) то’

განაგრძელებს ‘удлинит’, ‘продолжит то’

ბრძოლა ‘бороться’, ‘борьба’, ვი-ბრძვი ‘борюсь’ (ფუძე: ბრ+ძ-ვ, შეად. რუს ‘борь-ба’ (←*ɓor+e-ɓa), სომხ. მგრ+ც-ელ ‘бороться’)

ვ-ეჭიდებ-ი ‘борюсь с ним’

ჭედავს ‘кует то’

ა-ვალებს ‘обязывает его’, ‘возлагает на него’ (ვალი)

მო-ი-სმინა ‘он выслушал то’

გა-ი-გონა ‘он услыхал то, послушался’

მო-ი-ნელა ‘он переварил’ (‘пищу’ საჭმელი)

მი-სწვდა ‘он достал до него’

მი-ა-წოდა ‘он передал то ему, доставил то ему’

წოწი → ტოტი ‘ветвь’

ტოტი ‘рука’, ‘лапа’

მი-ა-რთვა ‘он преподнес то ему’

მო-ა-რთვა ‘преподнес ему (в нашу сторону)’

მო-ა-რთვა ‘снял’ ქაფი ‘пену’

წა-ართვა ‘он отнял то у него’

ღებავს ‘красит то’

ღება: გა-ა-ღებს ‘откроет’ (дверь, окно)

და-ა-ღებს 'раскроет (рот)'
მი-ი-ღებს 'получит то || его' и т. п.
ბევრი რამ გვაკლია 'много чего не хватает нам'
გვეყოფა 'достаточно нам'
კმარა 'довольно'
სადაც არ იყოს, ცოტა კმარ იყოს.

§ 25. მგზავრობა.

გზა 'дорога', მგზავრობა 'путешествие', გზავნის 'он посылает его || то', ბილიკი (др.-лит.) 'стезя', კვალი 'след', გემი 'корабль', 'судно', 'пароход', ნავი 'лодка', რკინის გზა 'железная дорога', სადგური 'станция', ზარი 'колокол', 'звонок', მესამე ზარს დაუკრეს '3-ий звонок дали (букв.: ударили)', ხურდა 'мелочь', დამიშალეთ 'разменяйте мне!' ფული 'деньги', ფარა 'деньги'.

I. ცხენი მგზავრისთვის საქართველოში დღესაც აუცილებლათ საჭიროა, განსაკუთრებით გაკენჭილზე (шоссе) დაშორებულ სოფლებში სამგზავროთ. ცხენი სჯობია ახლო ქალაქში დაიქირავოთ. მიბძანდებით საქირაო ცხენის პატრონთან და მოელაპარაკებით:

— სამი ცხენი მჭირია, ორი საცხენოსნო, ჩემთვის და ჩემი ამხანაგისთვის და ერთი საჭვირთე, კურტნიანი.

— უკაცრავათ, ხელათ ორ ცხენზე მეტი არა მყავს, სხვა მეჯოგეს გავატანე ამ ზაფხულში მთაზე საძოვრათ (|| საბალახოთ), ორ ცხენშიც ერთი ჭვირთის მზიდავია, მაგრამ საუცხოვო უნაგრით გაგიწყობ და ისე ცხენი მშვიდობიანია, კარგი მავალი და, თქვენმა მზემ, მშვენიერათ იმგზავრებ.

— შე დალოცვილო, ბარგს რა უყო? ოთხ ბათმანზე (ორ ფუთზე) მეტს სწონს.

— ბარგს, ბატონო, უკან შემოიკრავთ ცხენზე, თითო თქვენგანი ორ ბათმანს, ორ ლამაზ ხურჯინს გათხოვებთ უფასოთ და შიგ ჩააწყობთ.

— ცხენის ქირა ბძანეთ.

— თქვენი ნებაა, ბატონო, რამდენსაც ინებებთ, კმაყოფილი ვიქნები. უცხოეთით მობძანებული ადამიანი ბძანდებით, ვხედავ, და სტუმრის პატივის ცემა ჩვენ გვესმის.

— არა, ძმაო, მე მირჩევნია, ქირის ფასი პირდაპირ მითხრა და საქმე თავიდანვე გავასწოროთ.

— თქვენი ნება იყოს, ბატონო, ბევრს მაინც არ გთხოვთ, ქირას დაკლებით ვიტყვი, დღეში სულ ხუთი მანეთი, მაგრამ ერთს ცხენს სამ ფეხზე ნალი აქვს (‖ აქ) ავარდნილი და თქვენი ფასით დააჭედინეთ.

— ნამეტარ ძვირათ ათვასებთ, ძმობილო (‖ ამხანაგო ‖ ზოგან დღესაც: ბატონო), არ ანგარიშობთ, რომ ორ, სამ კვირას ვიქნები გზაში და ორი ცხენის ხარჯი ჩვენ გვედება გასაწევათ. სამი მანეთი კმარა.

— თქვენ იცით, ოღონდ დაჭედვა არ დაგავიწყდესთ, ქალაქის ბოლოში რომ მიაწევთ, კარგი სვინიდისიანი ‖ სვინდისიერი მჭედელია და მასთან ჩამოხტით ცხენების დასაჭედათ.

— გზაზე მდინარე შემხვდება გასასვლელათ? საფოტოგრაფიო იარაღი და მასალები მაქვს და მეშინია, არ დამისოლდეს.

— პატარა ღელეა, არხეინათ იყავით, უშიშრათ გაბძანდებით. შემდეგ დიდ მდინარესაც მიადგებით, ეგ ჩვენი მტკუარია, მაგრამ ზედ მშვენიერი ფართო ხიდია და ჩამოხტომაც არ გჭირიათ, ეგრე თავისუფლათ გაბძანდები შემჯდარი.

— აბა, უნაგირი შემიდგით და ცხენები გამოიყვანეთ, საჯინიბოიდან, ვნახოთ, რა რაშებია. გვეჩქარება.

II. აჴა, ესეც მგზავრობა სხვაგვარი.

შვიდობით, დროებით ვსწყვედ ლექციებს. საგრამატიკო კურსი ხომ დაგიმთავრეთ. რაც სასწავლო მასალა მქონდა, უკვე მოგახსენეთ: ქართული ენა უფსკრულია, მისი ამოწურვა შეუძლებელია თვით უნივერსიტეტში, სადაც ვრცელი, მეტი თუ არ ვსთქვათ, პროგრამაა. თქვენი პროგრამის პირობით მე უფრო ბევრი მოგაწოდეთ, ვიდრე თქვენ შეითვისეთ. ეს ჩემი, იქნება, შეცდომაც იყოს და ახლა მოცილებულობის დღეებში, დაახლოვებით ექვსი თვე გაგძელდება, ჩადენილი შეცდომა შემისწორეთ; რაც გისმენიათ და ჩაწერილი გაქვსთ, კარგათ შეითვისეთ, მას თავის საკუთარი შრომით შეძენილი ცნობებიც დაუმატეთ. კომედია «პატარძალი» წაიკითხეთ, გაიგეთ და დაისწავლეთ. იქნება სხვა რამეც წაიკითხოთ. ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

კიდევ მშვიდობით. მე მადლობელი ვარ, თქვენთან და თქვენდა

მუშაობაში მეტ ბევრი რამ ახალი ან ახალ ნაირათ გავიგე. გულს მაკლია, რომ გეცილებით (|| გშორდები). მშვიდობით!

IV. ახალი და ძველი მწერლობის ძეგლებიდან.

§ 1. ხალხური ლექსებიდან.

რა დადგება გაზაფხული,
აყვავდება ყველა ხილი,
მთა და ველი ამწვანდება,
ყველას გაუთბება ძირი.

* * *

ძმა რომ გაეყრება ძმასა,
ვეღარ დასდგამს დიდსა ძნასა.

* * *

ძმაო, რა სჯობდა ძმობასა,
ერთმანერთისა ყმობასა?
ძმა მაშინ მოგაგონდება,
სამი რო გცემდეს მარტოსა,
უკანდა იხედებოდე,
არავინ მოემატოსა!

§ 2. რუსთველის ქმნულების შესავლისგან.

* * *

თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვსთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული:
მელნად ვიკმარე გიშრის ტბა და კალმად ნაი რხეული.
და ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

* * *

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,

ბროლ-ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა.
და გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

* * *

ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტიობოლი კელის-კელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვა, საქმე ვქმნა საჭოჭმანები:
და ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს, ლაღმან და ლამაზმა⌈ნ⌉ ნები.

* * *

აწ ენა მინდა გამოთქმად მე, გული და კელოვნება,
ძალი მომცეს და შეწევნა: მისგნით მაქვს, მივსცე გონება,
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსოვნება
და მათ სამთა გმირთა მნათობთა, სჭირს ერთმან-ერთის მონება.

* * *

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი,
მისებრი მართ დაბადებით ვინცა ყოფილა შობილი.
დავსჯდე რუსთველი, ვლექსვიდე, მისთვის გულ-ლახვარსობილი:
და აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

§ 3. «ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის» (ი. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, წიგნი მეორე, ტფილისი 1914, გვ. 367—368).

უცხოელების ხანგრძლივ ბატონობის შემდგომ, VIII საუკუნის მეორე ნახევრითგან მოყოლებული, საქართველოში გამოცოცხლება დაიწყო და მოსულიერდა. ამ მოძრაობას ხელს უწყობდა, რასაკვირველია, თვით არაბების თანდათანი დასუსტება. ჩვენი ქვეყნის გამოცოცხლება ერთბაშად და უცბათ არ მომხდარა; საქართველოს ყველა კუთხეში ერთ დროს ვერ ამოძრავდებოდნენ: ზოგმა უფრო ადრე დაიწყო მოღონიერება, ზოგ მხარეს-კი მცხოვრებთა მოქმედებას გარეშე, განსაკუთრებით პოლიტიკური გარემოებანი აფერხებდენ. ამიტომ, ვიდრე გამოფხიზლებულ საქართველოს ყველა ნაწილები თანაბრად ღონეს მოიკიდებდენ და წელში იმდენად გამაგრდებოდენ [|| წელს იმდენათ გაიმაგ-

რებდენ], რომ სრულიად საქართველოს სამეფოს მტკიცედ დამყარება შესძლებოდათ, დიდი დრო იყო საჭირო. IX საუკუნითგან მოყოლებული ვიდრე XI საუკუნის დასასრულამდე გასტანა ამ საქართველოს აღდგენისა და გაერთიანებისა ხანამ, დიდი ბრძოლა და განსაცდელი გამოიარა საქართველომ ამ სამი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე ახალ გაერთიანებულ სახელმწიფოს მომავალი უზრუნველყოფილი იქმნებოდა. ამ ხანგრძლივ ბრძოლას მუდამ ერთგვარი მიმართულება და ხასიათი არა ჰქონია: პირველ ორ საუკუნის განმავლობაში რაკი საქართველო დაქუცმაცებული იყო პატარ-პატარა სამთავროებადა და სამეფოებად და მემატიანეს სიტყვისამებრ «იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა», ამის გამო «შეერიათ ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთის» (მ̃ტნე ქ ჲ *440, გვ. 217).

პირველად თავი დასავლეთ-სამხრეთ საქართველომ წამოყო, სახელდობრ VIII საუკუნის მეორე ნახევარში. აფხაზეთი არაბთა ბატონობას იმ თავითვე გადურჩა და კვლავინდებურად ბიზანტიის კეისრისაგან იყო დამოკიდებული; მაგრამ სწორედ VIII საუკუნეში ბიზანტია დასუსტებული იყო არაბებთან ბრძოლითა და შინაურ საეკლესიო უთანხმოებისა და გამწვავებულ ბრძოლისა გამო ხატების თაყვანისმცემლებისა და უარმყოფელთა შორის. ამით ისარგებლია აფხაზეთის იმ დროინდელ ერისთავს. მემატიანეს სიტყვით: «რა ჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათ გან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმის წული ლეონ ერისთვისა, რომელსა მიეცა სამკჳდროდ აფხაზეთი; ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა-ო» (მ̃ტნე ქ̃ჲ *441, გვ. 218).

§ 4. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ.

(რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს რეზოლიუცია).

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების განცალკევებული არსებობა აუძლურებს მათ კაპიტალისტური და ბურჟუაზიული ქვეყნების წინაშე; მჭიდრო პოლიტიკური კავშირი უზრუნველყოფს მათ ყოველგვარ თავდასხმისაგან კონტრ-რევოლიუციონურ ძალების მხრით და განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას ახლობელი აღმოსავლეთის მიჯნაზე.

პოლიტიკური გაერთიანება რესპუბლიკებს საშვალებას მისცემს

ნამდვილად დაბეჯითავდეს ურთიერთშორის მჭიდრო სამეურნეო კავშირი, რომლის დადების ცდა არა ერთხელ ყოფილა წარმოებული. ხოლო რესპუბლიკების განთავისუფლება ამწვავებდა ამიერ-კავკასიის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, ხალხის მასების სიღატაკეს და დაბეჩავებას და იწვევდა მრავალ გაუგებრობას რესპუბლიკებს შორის. ამიერ-კავკასია წარმოადგენს მთლიანს სამეურნეო ერთს ერთეულს და მისი ეკონომიური განვითარება შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ საერთო კავკასიის სამეურნეო გაერთიანების გზით. დასასრულ, მრავალრიცხოვანი სახალხო კომისარიატების და დაწესებულებათა არსებობა ამ რესპუბლიკაში ნთქავს ბევრ ძალას და საშუალებათ, ქმნის ბევრ ორგანოებში ზოგჯერ პარალელიზმს მუშაობაში. ამიტომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთავარი და უმნიშვნელოვანესი დარგების საერთო ძალ-ღონით ადმინისტრატიული მართველობა გააძლიერებს და გაანაყოფიერებს საბჭოთა მუშაობას.

გამოდის რა აქედან, კავბიუროს გადაუდებელ საჭიროებად მიაჩნია რესპუბლიკებს შორის ფედერაციულ კავშირის შეკვრა პირველ ყოვლისა სამხედრო, სამეურნეო, ფინანსური მუშაობის და საგარეო პოლიტიკის სფეროში. («კომუნისტი», № 210, 13 ნოემბერი 1921 წ.).

§ 5. ჩვენი სოფელი (ხმა სოფ. ვარციხიდან).

(ქუთაისის მაზრის აღმასკომის საყურადღებოთ).

მოგვხედეთ! გაზეთ «მუშა და გლეხი»-ს ფურცლებზე ხშირათ აღნიშნულა ამ უბედურობის შესახებ, რომელიც მოგვაყენა 1922 წლის ოქტომბრის წყალდიდობამ. ამ წყალდიდობამ სოფ. ვარციხის გლეხობა მიწასთან გაასწორა, ადიდებულმა მდინარემ საუკეთესო სახნავ-სათესი მიწები, მოწეული ჭირნახული, ცხოველები და ზოგს სადგომი ქოხებიც კი გამოაცალა ხელიდან; გლეხობა უკიდურეს და უმწეო მდგომარეობაში იმყოფება.

მართალია, ისინი დასახლებულნი არიან ახლად მიჩენილ ადგილზე, მაგრამ ამით დაზარალებულ გლეხების მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. ნაწილს ჯერაც აუგებელი აქვთ ქოხები, ზოგს კი დაუხურავი. ხშირათ ნახავთ ისეთ ძონძებში გახვეულს ქალს, კაცს, ბავშს, რომ თვალს ვერ გაუმაგრებთ და მოერიდებით შეხედვას: ასეთი დაზარალებულნი 300 კომლამდე აღწევენ, მაგრამ აქამდე ერთისათვისაც არავის

გაუწევია დახმარების ხელი. მათ არა აქვთ სკოლის შენობა და არც დაქირავება შეუძლიათ ასეთ პირობებში მყოფ გლეხობას. ამ სოფლის ახლოს ნახევარი ვერსის დაშორებით, არის ვიღაც გერმანელისეული სასახლე, რომელიც ამ ჟამათ მიწათ მოქმედების კომისარიატის განკარგულებაშია; ეს სასახლე ვარცხის სახალხო მამულის ერთ თანამშრომელს, ს. ავალიანს უჭირავს და შიგ მხოლოთ ღორები ჰყავს დაბინავებული. სოფლის გლეხობის ბავშები კი, სკოლის შენობის უქონლობის გამო, დღესაც ქუჩაში არიან სკოლის გარეთ.

კარგი იქნებოდა, აღნიშნულ სახლებში, სადაც ავალიანის ღორები ნავარდობენ, სკოლის გლეხობის ბავშებს ვამაცადინებდეთ».

«ბინოკლი».

§ 6. გალაკტიონ ტაბიძის ნათხზი «მოგონებები იმ დღეების როცა იელვა» ლექსებიდან; მნათობი, 1924, № 5, გვ. ა) 10—11, ბ) 13—14.

ა.

გიამბო? არა. ვნახე ვენახი
როგორც ტაძარი.
ისეთი არსად ჯერ არ მენახა
უზარმაზარი.

და იისფერი ფურცლები ვაზის
სანთლებს ვენახში
უმძიმეს ქარვის მტევნებად აზის
ვით ფერფლი ნახშირს.

კარგათ არ მახსოვს, ეს ფრინველები
იყვენ ჩიტები
თუ ანგელოზებს ესხათ ხელები
და ბიერიტები?

ლუჩიო უსმენს. მასში ესოდენ
გრძნობს გაოცებით
და ირონიით: — ეს იქნებოდენ
ანგელოზები.

უცებ მოვარდა ძლიერი სტიგმა —
        განაგრძობს ევა —
მაღალ ხეების მწუხარე რიგმა
        დაიწყო რყევა.

რა საოცარი დაიძრა ღვარი,
        ხეთ რა რიგ ხრიდენ;
ყოველი მხრიდან ბერავდა ქარი,
        ყოველი მხრიდან.

აღმოსავლეთით თოვლივით თეთრი
        ბერავდა ქარი,
იყო სპეტაკი და ნაზად მკვეთრი
        და ძლიერ ჩქარი.

ჩრდილოის ქარი იყო წითელი,
        მაგრამ ნათელი,
გორავდა ყვითელ ფოთლის მითელი
        და კამათელი.

მესამე ქარი იყო ვით ქარვა,
        როგორც სამოთხე
და იისფერი, როგორ: «აქ არ ვარ»
        იყო მეოთხე.

იდგა მთელ ბაღში ფერთა ფერები,
        შემდეგში ყველა
იძროდენ როგორც სულიერები
        ნელა და ნელა.

და მე შემდეგში აღარ ვიცოდი
        ო, მთელი ღამე,
        ეს ქარი იყო სამაისოთი,
        თუ კვლავ სხვა რამე?

— ანგელოზები იყვენ უთუოდ —
დასცინის ვაჟი —
ასე ყოველმხრით, ასე უდროოთ
რომ ქროდენ ცაში.

ვ.

როს ძილს ეძლევა ღამით უბნები
იქაც და აქაც.
შორს ნათესავზე მე მეუბნება
ბრმა დედაკაცი.

ამბობენ: ძლიერ არის მდიდარი,
აქვს ბევრი რამა.
მე კი — სიმდიდრე არავითარი,
დედა, არც მამა.

ქალი უცხოა ჩემთვის სრულიად,
მე ვცხოვრობ მასთან;
ეს თითქო ბედის დასასრულია...
სანამდი გასტანს?

როცა ქარხანა დახურეს ჩვენი —
იმ ნახევარი
წლის მეტად მწარე ვიდოდენ დღენი
უმუშევარი.

იანვრის ქარი ცივი და ბნელი,
მწუხარე ჩრდილი —
როცა სულისთვის არ არის ძნელი
თვითონ სიკვდილი.

სანთლები ჩაფლა თოვლილმა მტვერმა,
ჩალეწა მინა.
ქალაქის გარედ უდაბნო, ფერმა,
ქურდების ბინა.

გვდევდა შიმშილი, თხოვნა, ხვეწილი
დღენი და თვენი,
ქალაქი სადღაც გარდახვეწილი,
ქალაქი ჩვენი.

სრულიად შიშველს, ზამთარის გმინვის
სასტიკი ლალა.
ო, ძლივს ვუძლებდი გამგმირავ ყინვას,
არ მქონდა ძალა.

მეგონა: აჰა, ეს აღსასრული
მოვიდა, ვკვდები.
მღვრიე ქუჩებში ბნედა ბასრული
მივეხეტები.

აქ იწვა ძაღლი. მე იმის გვერდით
მივწექ. ვიყავი —
რომ მისი ოდნავ მფეთქავი მკერდით
გამთბარვიყავი.

მაგრამ ის ძაღლიც გაიქცა. რბოდა.
გონება-მოხდილს
სიცივისაგან ცრემლი მდიოდა,
ვნატრობდი სიკვდილს.

ისე შემიკრა ყინვამ კბილები;
მკლავდა იარა.
ამ დროს მოხუცმა ქალმა ჩემს ახლო
გამოიარა.

და წამიყვანა მან ცოცხალმკვდარი,
ამინთო სხივი.
ძალიან ცივი იყო ზამთარი,
ძალიან ცივი.

ИЗДАНИЯ ЛЕНИНГРАДСКОГО ИНСТИТУТА ЖИВЫХ ВОСТОЧНЫХ ЯЗЫКОВ ИМЕНИ А. С. ЕНУКИДЗЕ.

1. **Марр Н. Я.** К изучению современного грузинского языка. 1922 г. 22 стран. 40 к.
2. **Марр Н. Я.** Чем живет яфетическое языкознание. 1923 г. 80 стран. 1 р. 50 к.
3. **Тубянский М. И.** Образцы бенгальской литературы. 1922 г. 132 стран. 2 р.
4. **Самойлович А. Н.** Несколько дополнений к классификации турецких языков. ... 16 стран. 40 к.
5. ... сведения по Петроградскому Институту Живых Восточных Языков (1920—1923 гг.). 1924 г. 87 стран. *Разошлись.*
6. ...омаске... **А. А.** Современная персидская пресса в образцах. 1924 г. ... стран. 5 р. *Разошлось.*
7. ... **В. В.** История изучения Востока в Европе и России. 1925 г. 318 стран. 2 р. 25 к.
8. **Труды яфетического семинария. II. — Марр Н. Я.** Пособие к лекциям по практическому изучению живого грузинского языка. 1926 г. VIII+99 стран.
9. **Справочные сведения** по Ленинградскому Институту Живых Восточных Языков (1924—1925 гг.).
10. **Самойлович А. Н.** Краткая учебная грамматика современного османско-турецкого языка. 1925 г. 156 стран. 2 р. 50 к.

12. **Труды яфетического семинария. I. — Марр Н. Я.** Абхазский аналитический алфавит. 1926 г. 52 стран. 1 р.
13. **Труды турнологического семинария. I. — Иностранцев А. А.** Хунну и Гунны. 2-ое доп. изд. 1926 г. IV+152 стран. 2 р.

Печатаются:

11. **Владимирцов Б. Я.** Образцы монгольской народной словесности. (С. З. Монголия).

14. **Ученые записки** Л. И. Ж. В. Я. им. А. С. Енукидзе.
15. **Бертельс Е. Э.** Бахтиар-Наме. Персидск. текст и словарь.
16. **Оде-Васильева К. Д.** Начальная арабская хрестоматия, с предисловием акад. И. Ю. Крачковского.
17. **Баранников А. П.** Грамматика Хиндустани.

Представлены для напечатания:

1. **Владимирцов Б. Я.** Учебник монгольского языка (халхасское наречие и монгольский литературный язык).
2. **Алексеев В. М.** Дао-тун (сборник статей о Китае).
3. **Учебные программы** Ленинградского Института Живых Восточных Языков им. А. С. Енукидзе.
4. **Бертельс Е. Э.** Грамматика персидского языка.
5. **Конрад Н. И.** История японской литературы в очерках и образцах.
6. **Самойлович А. Н.** Грамматика чигатайского языка.
7. **Щербатской Ф. И.** Буддизм.
8. **Хирт Фр.** Древняя история Китая. Перевод С. Н. С — ва. Введение и общая редакция П. И. Воробьева.

ЛЕНИНГРАДСКИЙ ИНСТИТУТ ЖИВЫХ ВОСТОЧНЫХ ЯЗЫКОВ И ЕГО ИЗДАТЕЛЬСТВО ПОМЕЩАЮТСЯ: МАКСИМИЛИАНОВСКИЙ ПЕР. 7; ТЕЛЕФ. 157-41, 124-89. ДЛЯ ТЕЛЕГРАММ: ЛЕНИНГРАД, ЛИЖВЯ.

00050723270
UNIVERSITY OF N.C. AT CHAPEL HILL